ახალგაზრდა აღვოკატები

ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა

2018 წელი საზოგადოებისთვის

არის სამართლიანობა, არის მშვიდობა!

„ახალგაზრდა ადვოკატების“ 2018 წლის საქმიანობის ანგარიში

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

გუნდი

არჩილ კაიკაციშვილი - ხელმძღვანელი
მარიამ ასანიშვილი - სადამფუძნებლო საბჭოს წევრი
ზურაბ ახობაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
გიორგი ლაბაძე - კონსტიტუციონალისტი, საერთაშორისო ურთიერთობების იურისტი
ანა ფუტკარაძე - იურისტი სამართალწარმოების საკითხებში
ნიკა გოგბერაშვილი - იურისტი სამართალწარმოების საკითხებში
ლიკა ლემონჯავა - იურისტი სამართალწარმოების საკითხებში
გიორგი ხაჭვანი - იურისტი სამართალწარმოების საკითხებში
სოფიო მექანარიშვილი - იურისტი სამართალწარმოების საკითხებში
მარიამ ხიზანიშვილი - ფინანსური მენეჯერი
ანა კიკნაძე - მრჩეველთა საბჭო
ბექა ჯავახიშვილი - მრჩეველთა საბჭო
ია გოგნაძე - მრჩეველთა საბჭო

საქართველო, თბილისი, მარჯანიშვილის მოედანი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა №12
ორგანიზაციის ტელეფონი: (995 32) 295 35 18, 599 291202

Pryoungbarristers@yahoo.com; Pryoungbarristers@gmail.com
www.barristers.ge

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2018

„ახალგაზრდა ადვოკატები“ – კვლავ იქნება შესაძლებლობების, ობიექტური და საზოგადოებისთვის სანდო ორგანიზაცია

ძვირფასო მეგობრებო,

2018 წელი, არაერთი მღელვარე, საინტერესო, ისტორიული და საეტაპო მოვლენებით გვამახსოვრებს თავს, მაგრამ მთავარი პოლიტიკური, სამართლებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენა, ალბათ, საქართველოს ისტორიაში არჩეული პირველი ქალი პრეზიდენტი და საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებაა, რომლითაც ქვეყანა სრულად საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე გადავიდა. მიუხედავად სახელმწიფოებრივი განვითარების პრეცედენტებისა, „სამართლიანობა“ და „მშვიდობა“ ისეთივე აუცილებელ მოთხოვნილებად დგას თანამედროვე ცხოვრების ყველა სფეროში, როგორც 100 წლის წინ, დემოკრატიულ საქართველოში. 100 წლის შემდეგ, ქართული საზოგადოების წინაშეც იდენტური და მარადიული საფიქრალი დგას - ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და დაცვა, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, პოლიტიკური კურსი, სიღარიბე და სამოქალაქო თანხმობა. 100 წლის წინ დაფუძნდა პირველი ქართული სასწავლებელი და 100 წლის შემდეგაც, განათლება რჩება უმთავრეს გამოწვევად - თანამედროვე, ევროპული ყაიდის, წარმატებული ქვეყანა შეუძლებელია განათლების ხელმისაწვდომობის გარეშე, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და საქართველოს დანარჩენ ცივილიზებულ სამყაროსთან ორგანული ინტეგრირების გარეშე.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა ჩვენი თანამედროვე ისტორიისა და ცხოვრების ყველაზე მძიმე და შეურიგებელი მომენტია. 2018 წელი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებული ოკუპაციის ყველაზე სასტიკ გამოვლინებებსა და ფორმებს, სადაც თანამედროვე „ლეკიანობა“ ეროვნული თავმოყვარეობისა და პიროვნული ღირსების საკითხია. საქართველომ უნდა გაზარდოს ძალისხმევა თაობათა შორის დიალოგის უზრუნველსაყოფად, ქვეყანას უნდა გააჩნდეს სწორი ეროვნული სტრატეგია და სამშვიდობო პოლიტიკის შედეგების საფუძველზე, აფხაზ და ოს მოქალაქეებს საქართველოს სახელმწიფოსთან ინტეგრაციით, გაუჩნდეთ განსაკუთრებული დაცვისა და განვითარების ალტერნატიული პირობები. საამისოდ, მნიშვნელოვანია, ჩვენმა საზოგადოებამ თავად თქვას უარი სიძულვილის ენაზე, „ისტებად“ დაყოფაზე, ავტორიტეტებთან ბრძოლაზე, უთანასწორო გარემოზე. მარადიული კითხვა - აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი თუ ჩრდილოეთი, უკვე გარკვეულია. საქართველო ევროკავშირთან ასოცირებული ქვეყანაა, მისი განვითარებისა და უსაფრთხოების თანამედროვე დღის წესრიგი - ევრო-ატლანტიკური ოჯახია.

დემოკრატიული ქვეყანა წარმოუდგენელია დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის, დამოუკიდებელი მედიისა და დამოუკიდებელი სამოქალაქო ორგანიზაციების გარეშე. 2018 წლის მოვლენებმა აჩვენა, რომ მართლმსაჯულება პოლიტიკური ზეგავლენისგან სრულად თავისუფალი არ არის. პარტიულ, ლიბერალურ და თავისუფალ მედიას შორის არსებობს მნიშვნელოვანი წითელი ხაზები. სამოქალაქო ორგანიზაციების დამოუკიდებლობა საზოგადოება უნდობლობას და ეჭვს იწვევს. ამის ერთ-ერთი მიზეზია ადამიანის უფლებების დაცვის შერჩევითი ხასიათი. საპირწონედ, არ არსებობს დამოუკიდებელი ფული და დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრები, რომლებიც შეძლებდნენ ალტერნატიული ხედვების წარმოდგენას და საზოგადოების ინფორმირებას. 2018 წელს სამოქალაქო სექტორის დაფინანსებაზე გამოქვეყნდა კვლევა, რომლის მთავარი შეფასებაც ასე ჟღერდა: „დემოკრატიულ სისტემაში სახელმწიფოს სამოქალაქო სექტორის დაფინანსების ერთიანი პოლიტიკა და სტრატეგია უნდა ჰქონდეს, რასაც დღეს საქართველოში ვერ ვხედავთ. ეს, თავის მხრივ, იწვევს იმას, რომ არასამთავრობო სექტორს აქვს ეკონომიკური მდგრადობის პრობლემა“.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ კვლავ იქნება შესაძლებლობების, ობიექტური და საზოგადოებისთვის სანდო ორგანიზაცია, ვინაიდან ჩვენი შემოსავლის წყარო დაკავშირებულია ჩვენი პროფესიული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით. ამ გაგებით, „ახალგაზრდა ადვოკატები“ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, ჩვენს ხელფასს გვიხდის კლიენტი, რაც ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციონალიზაციისთვის, მიგვაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზი და საფუძველია. ამიტომაც, ეს განაპირობებს ნდობას და მათ შორის, პროფესიული საზოგადოებისა თუ კრიტიკოსების აღიარებას. ჩვენ ვემსახურებით საზოგადოებას და ჩვენი საქმე და ჩვენი სიტყვა იწყება ღირსებიდან, თავისუფლებიდან, თანასწორობიდან, საიდანაც შეიქმნა და რატომაც არსებობს „ახალგაზრდა ადვოკატები“.

გილოცავთ 2019 წელს, სიკეთე და მშვიდობა გქონოდეთ!

არჩილ კაიკაციშვილი,

ორგანიზაციის ხელმძღვანელი

28 დეკემბერი, 2018

არჩილ კაიკაციშვილი
ხელმძღვანელი

ზურაბ ახოგაძე
კომუნიკაციის მენეჯერი

გიორგი ლაგაძე
საერთაშორისო ურთიერთობების იურისტი

ნიკა გოგბერაშვილი
იურისტი სამართალწარმოების საკითხებში

2018 წელს, „ახალგაზრდა ადვოკატები“, ერთ-ერთი აქტიური ორგანიზაცია აღმოჩნდა, რომელმაც არაერთი შეფასება წარმოადგინა მართლმსაჯულების საკითხებზე, სახელმწიფო უწყებების მუშაობაზე, სოციალური პოლიტიკის პრობლემურ მხარეებსა და ადამიანის უფლებების სფეროს სხვადასხვა აქტუალურ თემაზე. ორგანიზაცია აქტიური აღმოჩნდა სამართლიანობის აღდგენის პროცესის შეფასებისას და განახორციელა კვლევითი საქმიანობა, რომელიც მოიცავდა სამართალწარმოების პროცესში დარღვევებისა და ნეგატიური შედეგების მიგნებებს.

ორგანიზაციამ გამოსცა 2 კვლევა, რომელიც ეხებოდა ჩინური სახელმწიფო კომპანია „სინოჰიდროს“ საქართველოში საქმიანობის კრიტიკულ ანალიზს და „მეტალინვესტის“ საქმეს. ორგანიზაციამ განახორციელა დამატებითი მონიტორინგი, რომელიც ეხებოდა თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო წინადადების სამართლებრივ შეფასებებს, საკითხზე აქტიურად იქნა წარმოდგენილი სხვადასხვა სადისკუსიო ფორმატებში. ჩაატარა 3 სადისკუსიო მაგიდა, აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას მათ საქმიანობას მიკუთვნებულ საკითხებზე წარედგინა 10-ზე მეტი რეკომენდაცია და წინადადება, საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა 1 საკანონმდებლო წინადადება სტუდენტების საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლების საკითხზე, საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენს წარედგინა სარეკომენდაციო პაკეტი კანონში ცვლილებების შეტანისა და ბიზნეს ომბუდსმენის საერთო სასამართლოების სისტემაში „სასამართლო მეგობრის“ სტატუსით ჩართვაზე, რაც პარლამენტმა გაიზიარა და დაგეგმილია შესაბამისი განხილვები. მოაწყო საკანონმდებლო წინადადების 2 საჯარო განხილვა, სამართლიანობის აღდგენისა პროცესში, არაერთი განცხადება წარუდგინა საქართველოს პროკურატურას, რომლითაც მოთხოვნილ იქნა ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანის მიერ ნების საწინააღმდეგოდ დათმობილი ლისის ტბის საქმეზე ბიზნესმენის დაზარალებულად ცნობა, ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ საქმეზე რეალური დამნაშავეების სამართლებრივი პასუხისმგებლობა, „მეტალინვესტის“ გაკოტრების საქმეზე მიუკერძოებელი სამართალწარმოების განხორციელება. ორგანიზაციამ მოამზადა 10-ზე მეტი მონიტორინგი და საზოგადოებას შესთავაზა პრობლემური საკითხების კვლევა მოქალაქეობის მიღების, შესყიდვების გამჭვირვალობის, ხმაურის შესახებ რეგულაციების, 1 ლარად სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონებების, ისრაელში საქართველოს მოქალაქეების უფლების დარღვევის, სამედიცინო რეგულირების, ბიზნეს-ოპერატორების საქმიანობისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე. მოამზადა და წარადგინა საკონსტიტუციო სარჩელი და ისარგებლა „სასამართლო მეგობრის“ სტატუსით, როგორც საკონსტიტუციო, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

ორგანიზაციამ 2018 წელს პოლიტიკის, სამართლისა და საზოგადოების აქტუალურ საკითხებზე გამართა 22 პრესკონფერენცია (ბრიფინგი), მედიაში გავრცელდა 149 საჯარო განცხადება, ორგანიზაციის წევრები, 164-ჯერ იქნენ წარმოდგენილი სხვადასხვა სატელევიზიო და რადიო არხზე მომზადებულ სიუჟეტებსა და ღია ეთერებში, ხოლო ბეჭდურ გამოცემებში, 18-ჯერ გაშუქდა ორგანიზაციის პოზიცია. რაც შეეხება ელექტრონულ მედიას, კერძოდ, ახალი ამბების სააგენტოებს, ორგანიზაციის საჯარო განცხადება და აღმასრულებელი გუნდის ცალკეული წევრების კომენტარი, სულ წარმოდგენილ იქნა 647-ჯერ, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ყველა გასულ წელთან შედარებით.

ორგანიზაცია აქტიური იყო კორესპონდენციის სტატისტიკითაც. 2018 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციამ სხვადასხვა უწყებების მიმართ უზრუნველყო 367 წერილის გაგზავნა და გამოხმაურება მიიღო 234 კორესპონდენციის სახით. მათ შორის, არსებობდა ინსტიტუციური ხასიათის კომუნიკაცია საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან.

2018 წელი ორგანიზაციის სამართლის ჯგუფისთვის საინტერესო და შთამბეჭდავი აღმოჩნდა სამართალწარმოების პროცესითაც. „ახალგაზრდა ადვოკატების“ უფასო იურიდიული კონსულტაციით, რომლის ოფიციალური რეგისტრაციაც მოხდა, ისარგებლა 87 მოქალაქემ. წლის მანძილზე, ორგანიზაციის იურისტებმა არაერთ სამართლებრივ შეკითხვას უპასუხეს ორგანიზაციის ოფიციალური სოციალური გვერდის მეშვეობითაც, მათ შორის ქართველ ემიგრანტებს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს.

2018 წლის დეკემბერში, ორგანიზაციამ დაამტკიცა საქმისწარმოების სტატისტიკის ახალი მოდელი, რომელიც დეტალურად ასახავს სამართლის ჯგუფის წარმოებაში არსებული საქმეების სტატუსს. 2018 წლის ბოლოს, წარმოებული საქმეების მაჩვენებელი შემდეგნაირია: წარმატებული საქმეები – 64%, წარუმატებელი დავები – 18%, მორიგებით დასრულებული საქმეები – 10%, დავები, რომლებზეც შეწყდა წარმოება სარჩელზე უარის თქმის ან სხვა ანალოგიური საფუძვლებით – 8%. ამასთან, დეტალური კლასიფიკაციის სახე მიიღო სამართალწარმოების იმ საქმეებმა, რომელთა მიმართაც საბოლოო შედეგები, არ არსებობს. კერძოდ, ორგანიზაციის წარმოებაში 48%-ს შეადგენს საქმეები, რომლებზეც არ დამდგარა გადაწყვეტილება, 7%-ს დავები, რომლებზეც სასამართლოში წარმოება არ დაწყებულა, ხოლო 45%-ს შეადგენს სარჩელები, რომლებიც მზადების ეტაპზეა და უნდა წარედგინოს სასამართლოს. „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი, ყველა საქმეს სასამართლოში იურიდიული კომპანია „კაიკაციშვილი და ადვოკატების“ სახელით ახორციელებს. ამასთან, 2018 წელსაც სოციალური პასუხისმგებლობის გამოხატულებად მივიჩნიეთ ჯრო Bono-ს სახელით დავების მომზადებაც. 2018 წელს, არაერთ დავაზე დადგა პრეცედენტული გადაწყვეტილება, რასაც თავად სასამართლომ უწოდა „ისტორიული“.

ორგანიზაცია წარმოდგენილ იქნა 20-ზე მეტ პროფესიული, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ხასიათის ღონისძიებაზე. 2018 წელს, ორგანიზაციის ხელმძღვანელი არჩეულ იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარედ. 2018 წელს, ორგანიზაციამ გააღრმავა თანამშრომლობა და მემორანდუმები გააფორმა, როგორც საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტთან, აგრეთვე „საქართველოს ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის ასოციაციასთან“. წარმატებით გაგრძელდა და არაერთ აქტუალურ საკითხზე, „სამართლის სკოლასთან“ თანამშრომლობით, გამოიცა სამეცნიერო ჟურნალი. 2018 წელს, ორგანიზაციამ და ტელეკომპანია „ობიექტივმა“ დაიწყეს ერთობლივი ინიციატივის განხორციელებაც და რუბრიკაში: „იურისტის საათი“, ყოველკვირეულად, საზოგადოებას აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე მიეწოდებათ სამართლებრივი რჩევები. ორგანიზაციამ წლის მანძილზე, ორჯერ განაახლა აღმასრულებელი გუნდი და კიდევ ერთი ნაყოფიერი წელიც, ერთგულად ემსახურა საზოგადოებას.

ანა ფუტკარაძე
იურისტი სამართალწარმოების საკითხებში

სოფიო მექანარიშვილი
იურისტი სამართალწარმოების საკითხებში

ლიკა ლემონჯავა
იურისტი სამართალწარმოების საკითხებში

მარიამ ხიზანიშვილი
ფინანსური მენეჯერი

გიორგი ხაჭვანი
იურისტი სამართალწარმოების საკითხებში

აღმასრულებელი გუნდი – 2018

მთელი წელი საზოგადოებისთვის

იანვარი, 2018 – ორგანიზაციამ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესთან დაკავშირებით შესწავლის შედეგები გამოაქვეყნა და აღნიშნა, რომ საქართველოს ევროკავშირთან უვიზოდ მიმოსვლის უფლების მოპოვების შემდგომ, ინტერესი ქართულ პასპორტებზე უფრო მეტად გაიზარდა. შეჯამდა საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საგამონაკლისო, აღდგენის, ჩვეულებრივი, გამარტივებული და სპეციალური წესის შედეგები. 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის მდგომარეობით, საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით მიენიჭა 11 827 პირს, მათ შორის 9898 პირს, რომელიც საქართველოს ყოფილი მოქალაქეა, საქართველოშია დაბადებული ან მისი ოჯახის ერთ-ერთი წევრი (მეუღლე, შვილი, მშობელი) საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში დაბადებული პირია. საგამონაკლისო წესით, მოქალაქეობის მინიჭების სტატისტიკა ასეთია: 2017 წელს – 2939, 2016 წელს – 4597 და 2015 წელს – 4291. ამასთან, მოქალაქეობა აღდგენის წესით, ბოლო სამ წელიწადში, სულ მიიღო 87 პირმა, ჩვეულებრივი წესით – 44 პირმა, გამარტივებული წესით – 130 პირმა, ხოლო სპეციალური წესით – 11 პირმა.

ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ **ბოლო სამი წლის განმავლობაში, საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობის მიღების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის უფლების მოპოვება და ინტერესი ქართული პასპორტის მიმართ. ორგანიზაციამ აღნიშნული ცალსახად დადებითად შეაფასა, თუმცა მიუთითა მომატებულ რისკებზეც. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტს ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცესში, უფრო ფრთხილი დამოკიდებულება უნდა გამოეჩინა, რამდენადაც მოქალაქეობის მინიჭება წარმოადგენს პირთათვის პოლიტიკური უფლებების გადაცემას და პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს ინტერესებთან.**

ორგანიზაციამ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის შექმნაზე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შემსრულებელ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული 2015 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნით, სამართალწარმოების პროცესი დაიწყო. ორგანიზაციის ადმინისტრაციული საჩივარი დარეგისტრირდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში. სადავო ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მეოთხე ეტაპზე, როდესაც „შემსრულებელ“ კომპანიას დაეკისრა 140 000 ლარი ჯარიმის სახით, რაც ხელშეკრულების ღირებულების 5%-ია, დადგა ვადაზე ადრე ხელშეკრულების შეწყვეტის გარემოება, თუმცა თბილისის მერიამ, როგორც „შემსყიდველმა“, მოცემულ გარემოებაზე, არ მოახდინა სწორი სამართლებრივი რეაგირება. ორგანიზაცის მიაჩნდა, რომ ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების არაჯეროვან შესრულებას, ვინაიდან „შემსრულებელი“ ორგანიზაცია 4-ჯერ იქნა დაჯარიმებული, რაც თავის მხრივ მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ ხელშეკრულების შესრულებისას გამოვლენილ იქნა მნიშვნელოვანი ნაკლი. აღნიშნული სამართალწარმოების პროცესის დაწყებით, ორგანიზაციამ გააგრძელა 2017 წლის მარტიდან დაწყებული თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის მონიტორინგის პროცესი და აღნიშნული საკითხი 2018 წლის განმავლობაში, არაერთხელ გახდა ორგანიზაციის საჯარო განცხადებისა და საზოგადოებრივი დისკუსიის თემა.

თებერვალი, 2018 – ორგანიზაციამ კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-ისა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართ, სამართლებრივი დავა დაიწყო, რომელიც შეეხება საქართველოში მიმდინარე მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში დაზარალებული მესაკუთრეთა უფლებების დაცვას და სახელმწიფოს უმოქმედობის შეჩერებას. ორგანიზაციამ პირველი განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ შესაძლოა გამოკვეთილიყო მსხვილ ინფრასტრუქტურულ (საგზაო) ტენდერებში მონაწილე ჩინური სახელმწიფო კომპანიის არაკეთილსინდისიერი ქმედებები, გამოცხადებულ სატენდერო კონკურსებში გამარჯვების მიზნით, პროექტის სრულყოფილად განხორციელებისთვის საჭირო რეალურ თანხაზე გაცილებით ნაკლების შეთავაზებით,

მთელი წელი საზოგადოებისთვის

ამ ფორმით, იოლი გამარჯვებით, ხოლო შემდგომ პროექტისთვის აუცილებელი საკმარისი ფინანსური სახსრების არ არსებობის გამო, მისი მნიშვნელოვანი ხარვეზებით განხორციელებით. ორგანიზაციამ საკითხზე დაიწყო ფართომასშტაბიანი მონიტორინგის განხორციელება. ორგანიზაციამ საზოგადოებისთვის ცნობილი გახადა კომპანიისა და მის მიმდებარედ საწარმოო ტერიტორიაზე სისტემური დარღვევის 21 შემთხვევა, რომელიც დაეფუძნა სხვადასხვა საჯარო უწყებიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის ანალიზსს. განსაკუთრებით, სავალალო ვითარება გამოვლინდა შრომითი უფლებებისა და სამუშაო გარემოს სტანდარტებთან შეუსაბამობის მიმართულებით. ორგანიზაციამ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული სახელმწიფო ტენდერების შესწავლისა და შეფასების პროცესში დაადგინა, რომ დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირები სამუშაოდ იმ უცხოურ სამშენებლო კომპანიებშიც გადავიდნენ, რომლებმაც გამოცხადებული ტენდერები მოიგეს და სატენდერო კომისიის წევრები დღეს ამ კომპანიაში დასაქმებული დეპარტამენტის ყოფილი თანამდებობის პირები იყვნენ. ორგანიზაციამ შეაფასა, რომ არსებული ვითარება აჩენდა კითხვებს, თუ რამდენად იქნა სამართლიანი კონკურენცია დაცული და ჰქონდა თუ არა ადგილი სავარაუდო კორუფციულ გარიგებებს.

ორგანიზაციამ თბილისში ტაქსების მომსახურების სერვისის გაუმჯობესების მიზნით, სისტემური და სამართლებრივი საფუძვლების შექმნაზე, თბილისის მერიას სარეკომენდაციო წინადადებებით მიმართა და აღნიშნა, რომ ტაქსების საქმიანობის ლიცენზირებისა და რეგულირების მთავარი არგუმენტი უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი უსაფრთხოება, რისთვისაც მნიშვნელოვანია ავტომობილების ვარგისიანობა და მძღოლების კვალიფიციურობა. რეგულაციები უნდა დაწესებულიყო ტაქსისთვის ამოცნობადი ნიშნის მინიჭებასა და მანქანის მიერ ტექნიკური სტანდარტის დაკმაყოფილებაში. ტაქსების საქმიანობის მარეგულირებელ ქართულ მოდელს უნდა გაეზიარებინა საერთაშორისო გამოცდილება.

მარტი, 2018 – ორგანიზაცია გამოეხმაურა თბილისის მერიასა და კომპანია "C.T.PARK"-ს შორის დადებული ხელშეკრულების გაწყვეტას და აღნიშნა, რომ კახა კალაძის გადაწყვეტილებას გააჩნდა საზოგადოებრივი, სამართლებრივი და პოლიტიკური მხარე. „C.T.PARK"-თან გაწყვეტილი ხელშეკრულება სრულიად პასუხობდა საზოგადოებრივ ინტერესებს. "C.T.PARK"-თან ხელშეკრულების შეწყვეტის პროცესი უნდა წარმართულიყო კანონისა და ვალდებულებების სრული დაცვით. ამასთან, ორგანიზაციამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და წერილით – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, რომლითაც მოთხოვნილ იქნა – „C.T.PARK"-თან ერთად, თბილისი „GWP"-მ უნდა დატოვოს. ორგანიზაციის შეფასებით, კომპანია, რომლის მდგომარეობაც წყლის უზრუნველყოფის სფეროში ქმნის მონოპოლიურ მდგომარეობას, C.T.PARK"-ის მსგავსად, უსაფუძვლოდ და უკანონოდ აჯარიმებდა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ასევე რიგით მოქალაქეებს. **კომპანია დღემდე არღვევს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის დადგენილებას, რომლითაც დადგენილია სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები. შეუსაბამო და გაზრდილი ფინანსური დარიცხვით ხდება სასმელი წყლის ღირებულების დაანგარიშება. ირღვევა საჯარიმო აქტების შედგენის წესი. კომპანიას გადაწყვეტილებები გამოაქვს მხარეთა ადმინისტარციულ სხდომებზე მოწვევისა და დასწრების გარეშე. იურიდიული პირების დაჯარიმების შემთხვევაში კი, ადგილი აქვს საოფისე ფართებში უკანონო ვიდეო-გადაღებას, სადაც საჯარო ხასიათს იძენს პერსონალური და კომერციული ხასიათის ინფორმაცია. ორგანიზაციის პოზიციაა, რომ საზოგადოებას აქვს უფლება იცოდეს, არის თუ არა „GWP" რუსული ინტერესები ქართულ ეკონომიკაში.**

ორგანიზაციამ კომპანია „მაგთიკომის" მიერ შესაძლო დარღვევებზე დროული და ეფექტიანი რეაგირებისთვის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წერილობით მიმართა და მოითხოვა დეტალურად შესწავლილიყო კომპანიის გადაწყვეტილება, რომლითაც აბონენტების მიერ შეძენილი მეგაბაიტების ანულირება მოხდა და საკითხი კომისიას განეხილა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით.

ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მოკვლევის შედეგები, რომელიც ეხებოდა დღის საათებში ან ღამის საათებ-

მთელი წელი საზოგადოებისთვის

ში საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისა და ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენების ფაქტებსა და სამართლებრივი პასუხისმგებლობის გავრცელების საკითხებთან დაკავშირებით. დადგინდა, რომ კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებასა და ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენების აკრძალვაზე, სულ 143 ფიზიკური და იურიდიული პირი იქნა გაფრთხილებული. აქედან დღის საათებში ან ღამის საათებში, საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან საზოგადოებრივი – საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისთვის – დაჯარიმდა 24 ფიზიკური პირი, თითოეული – 150 ლარით, ხოლო 17 იურიდიული პირი, თითოეული – 500 ლარის ოდენობით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ხმაურის შესახებ შესული ცვლილებების შემდგომ, საერთო ჯამში, 26 ფიზიკური პირი, ხოლო 34 იურიდიული პირი იქნა დაჯარიმებული. საჯარიმო თანხის ოდენობამ, ფიზიკური პირების შემთხვევაში – 4 050 ლარი, ხოლო იურიდიული პირების შემთხვევაში – 25 500 ლარი შეადგინა.

ორგანიზაციამ საქართველოს პარლამენტში დაარეგისტრირა ახალი საკანონმდებლო წინადადება, რომელიც სტუდენტების საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლების ინიციატივას შეეხება.

აპრილი, 2018 – ორგანიზაციამ 2017-2016 წლებში, სახელმწიფოს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ, პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად გასხვისებული ქონებების თაობაზე მოკვლევის შედეგები გამოაქვეყნა. ორგანიზაციამ შეისწავლა საკითხი, 2017-2016 წლის განმავლობაში, თუ რამდენი ფიზიკური და იურიდიული პირის მიმართ განხორციელდა სახელმწიფო ქონების სიმბოლურ ფასად, 1 ლარად პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისება, ვინ არიან აღნიშნული ქონების მიმღები პირები, რა წარმოადგენდა გასხვისებული ქონების დანიშნულება – სახელმწიფომ გასხვისება უზრუნველყო საინვესტიციო მიზნებიდან გამომდინარე თუ სხვა საფუძვლებით და ამ ქონების გეოგრაფიული მდებარეობა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მეშვეობით, პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისდა 23 არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. აქედან 11 მიმღებია ფიზიკური პირი, ხოლო 12 იურიდიული პირი. ცალკე შესწავლის საგნად იქცა 2017-2016 წლებში, მთავრობის სხვადასხვა სამინისტროს შუამდგომლობების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მეშვეობით, პირდაპირი მიყიდვის წესით განხორციელებული პრივატიზაციის პროცესი. ამ პერიოდში, პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისდა 25 უძრავი ქონება. ქონებების მიმღებია ფიზიკური პირები, ეკომიგრანტები (სულ 545 ოჯახი), ლტოლვილები, სამხედრო მოსამსახურეების ოჯახი, თავდაცვის 482 პირი, შსს 7 პირი და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები.

ორგანიზაციამ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობისა და კომისიაში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით შესწავლის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც მარეგულირებელი კომისია საქართველოში კვლავ ყველაზე მდიდარი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება, თუმცა მისი ყოველწლიური შემოსავალი, რომელსაც ის კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში რეგულირების საფასურის გადამხდელი სუბიექტებისაგან იღებს, ყოველწლიურად მზარდია. ამასთან, კომისიის თავმჯდომარე ყველაზე მდიდარი საჯარო მოხელეა, რომლის 2017 წლის მანძილზე მიღებული შემოსავალი შეადგენს 16,650 ლარს. 2017 წლის განმავლობაში კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ, ეროვნულ და საერთაშორისო მივლინებებზე გამოყოფილმა ბიუჯეტმა საერთო ჯამში 182,668 ლარი შეადგინა. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მუშაობისთვის საჭირო თანხა – საერთო ჯამში 221,806 ლარი შეადგინა. აქედან 97,250 ლარი მოხმარდა კომუნალურ გადასახადებს, 17,011 ლარი კომისიის საკანცელარიო საჭიროებებით უზრუნველ-



მთელი წელი საზოგადოებისთვის

ყოფას, 71,798 ლარი საწვავით უზრუნველყოფას და 35,745 ლარი ძირითადი საშუალებების დაზღვევას მოხმარდა.

ორგანიზაცია გამოეხმაურა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტისა და „Freedom House"-ის დასკვნებს და აღნიშნა, რომ ისინი ობიექტურად ასახავს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და მკვეთრ პასუხებს მოითხოვს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გაკეთებულ შეფასებებზე. ორგანიზაცია სრულად ეთანხმება მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების დროს პროცესულაურ დარღვევებზე მითითებებს და საქმეთა გადატვირთულობის შესახებ ჩანაწერს, რომელიც უარყოფითად მოქმედებს სასამართლო სისტემაში უფლებების დაცვის შესაძლებლობებსა და საერთო მდგომარეობაზე. დასკვნები, რომლებიც საქართველოში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის ხარისხის შეფასებებზე გამოქვეყნდა, მიუთითებენ ერთადერთზე – საჭიროა ახალი პოლიტიკა, ხალხის თანამონაწილეობის გაზრდა ქვეყნის მმართველობით პროცესში და ქართულ პოლიტიკაში ახალი სახეების მოსვლა. სწორედ ასეთი შესაძლებლობების გაჩენით იქნება შესაძლებელი მოსახლეობის გარკვეული სკეპტიციზმის შეცვლა და ნდობის აღდგენა სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ – აღინიშნა ორგანიზაციის განცხადებაში.

მაისი, 2018 – ორგანიზაცია გამოეხმაურა ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს მოქალაქეების შესვლისა და გადაადგილების პროცესში შექმნილ დარღვევებს და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან დროული და ეფექტური რეაგირება მოითხოვა. შემაშფოთებელია ისრაელის სახელმწიფოს მესაზღვრეების მიერ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დარღვევის სისტემური ფაქტები, მათ შორის მოქალაქეთა უსაფუძვლო დაკავება და სიცოცხლისთვის საშიშ საკნებში, გაუსაძლის პირობებში მოთავსება, თარჯიმნის ყოლის უფლების შეზღუდვა, საკვებისა და წყლის მიღების აკრძალვა, ტელეფონით სარგებლობის უფლების აკრძალვა და სხვა. მოქალაქეები, ხშირ შემთხვევაში, აგრეთვე მიუთითებენ მესაზღვეების სიტყვიერ და მათ შორის, ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებზე. ორგანიზაციის შეფასებით, დასახელებული ფაქტები ცალსახად არ გამომდინარეობს ადამიანის უფლებების დაცვის მიზნიდან და მოითხოვს საქართველოს სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების დროულ და ქმედით რეაგირებას. დგინდება, რომ 2014-2018 წლებში, საერთო ჯამში, ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს 65 076 მოქალაქე გაემგზავრა. აქედან, ისრაელის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა შეძლო 55 525-მა პირმა, ხოლო 9 552 პირს საზღვარზე ქვეყანაში შესვლაზე ეთქვა უარი. აღსანიშნავია, რომ როგორც ისრაელში გამგზავრების მსურველთა რაოდენობა, აგრეთვე უარი თქმის სტატისტიკა, ბოლო პერიოდისთვის, მზარდია.

ორგანიზაციამ სოციალურად დაუცველი ერთიანი ბაზის მონაცემთა შესწავლის შედეგები გამოაქვეყნა და აღნიშნა, რომ არსებული მდგომარეობა კრიტიკულ ზღვარს სცდება – სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, საქართველოში რეგისტრირებული მოსახლეობის 3 729 638 მილიონი მოქალაქიდან, ერთ მილიონამდე მოქალაქეა რეგისტრირებული, ხოლო საარსებო შემწეობის მიღების უფლებით, ნახევარ მილიონზე მეტი – 500,833 პირი სარგებლობს. შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ იქნა 975,236 პირი, 2016 წელს – 1,171,151, 2015 წელს – 1,542,545, ხოლო 2014 წელს – 1,627,278 პირი. დარეგისტრირებული პირების გათვალისწინებით, შესწავლის შედეგად, სახელმწიფომ საარსებო შემწეობის გაცემა უზრუნველყო 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით – 500,833 პირის მიმართ, 2016 წელს – 549 457, 2015 წელს – 468 932, ხოლო 2014 წელს – 462 004 მოქალაქის მიმართ. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ წლებთან ერთად, მზარდია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა, ისევე, როგორც მზარდია საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა ოდენობა. ორგანიზაციამ მთავრობას წერილით და რეკომენდაციით მიმართა, სადაც აღინიშნა, რომ მთლიანად შესაცვლელია სოციალურად დაუცველი ერთიანი ბაზის მონაცემთა აღრიცხვის სისტემა. ასამოქმედებელია სოციალურად დაუცველ პირთა მიმართ დასაქმებისა და შრომის ღირსეული პირობების შექმნის ეროვნული სტრატეგია. შესაცვლელია სოციალურად დაუცველ პირად მიჩნევისთვის შეფასების სისტემა, რაც უნდა დაეფუძნოს შეფასების სამართლიან პრინციპს და გაიზიაროს სხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტი-

მთელი წელი საზოგადოებისთვის

კა. საჭიროა მკაცრი რეგულაციების შემოღება უთანასწორობისა და დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით.

ორგანიზაცია გამოეხმაურა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ განცხადება სარჩელის აღძვრამდე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ელ-მატარებლების მემანქანეებს, მათთვის დადგენილ სამუშაო საათებში, შეეზღუდათ დეკლარირებულ გაფიცვაში მონაწილეობის მიღების უფლება. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება სამართლებრივ კონფლიქტში იმყოფებოდა საქართველოს კონსტიტუციასთან, საერთაშორისო აქტებთან და დებულებებთან, ლახავდა არამხოლოდ ადამიანის საყოველთაო უფლებებს, არამედ წინააღმდეგობაში მოდიოდა ევროკონვენციის მე-10 მუხლთან – სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფასთან. სასამართლოს გადაწყვეტილება არ ემსახურებოდა დემოკრატიულ საზოგადოებაში დამკვიდრებული პრინციპების პატივისცემას.

ორგანიზაცია გამოეხმაურა ხორავას ქუჩაზე არასრუწლოვანთა ჩხუბის დროს მოკლული მოზარდების საქმეზე გამოტანილ სასამართლოს განაჩენსა და აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის გამოძიება, განაჩენის გასაჩივრების ნაცვლად, თავიდან უნდა დაეწყო. ორგანიზაციამ მოუწოდა საქართველოს მთავარ პროკურატურას საქმესთან დაკავშირებით აეღო სამართლებრივი და მორალური პასუხისმგებლობა, ვინაიდან სასამართლოს განაჩენის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ცალსახად დგინდებოდა, რომ დანაშაულის ჩამდენი რეალური პირი ან პირები, ხელშეუხებელია.

ივნისი, 2018 – ორგანიზაციამ განცხადება გაავრცელა ქართული სასამართლოს ისტორიაში 14-წლიანი ისტორიული და მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმის წარმატებით დასრულებაზე, რომლის თანახმადაც, საქართველოს უზენაეს სასამართლოში სახელმწიფოსთან მოპასუხის სახით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და 2007-2016 წლებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან, მოქალაქე როლანდ ბლადაძის ჩამორთმეულ ქონებაზე დავა სამმხრივი მორიგების აქტის საფუძველზე დაასრულა, რომელსაც თავად საკასაციო სასამართლომ უწოდა ისტორიული შეთანხმება და ფაქტი. 2018 წლის განმავლობაში, როლანდ ბლადაძის საქმეზე სამართალწარმოებას ჰქონდა მაღალი საჯარო ინტერესი და ორგანიზაციამ არაერთი აქტივობა და საჯარო განცხადება გააკეთა სამართალწარმოების პროცესში.

ორგანიზაციამ საჯარო განცხადება გააკეთა ახალი კვლევის წარმოების შესახებ, რომელიც შეეხება ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მოქმედებების შედეგად, კიდევ ერთი მსხვილი ქართული ბიზნესის გაკოტრების შემთხვევას და ამ პროცესში, საერთო სასამართლოებისა და საგამოძიებო ორგანოების გადაწყვეტილებებს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სავარაუდო დანაშაულში მონაწილეობის ფაქტს. საქმე ეხება კომპანია „მეტალინვესტის“ შემთხვევას და მისი დირექტორისა და 100%-იანი წილის მფლობელ ბიზნესმენ მურთაზ უგულავას მიმართ განხორციელებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს. ს.ს. „საქართველოს ბანკის“ შესაბამისი თანამდებობის პირებმა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარუდგინეს უთარიღო, სანოტარო წესით დაუმოწმებელი კომპანიის ე.წ. „წესდება“, რომელშიც შეცვლილი იქნა ქონების გასხვისების შეზღუდვის შესახებ მანამდე არსებული ჩანაწერის რედაქცია ისეთი ფორმით, რომ საზოგადოების ქონების გასხვისება არ იზღუდებოდა მისი ხელმძღვანელისგან. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ს.ს. „საქართველოს ბანკს“ დაუმტკიცა სადავო ქონებები, ხოლო მოგვიანებით, კომპანიის მიმართვის გარეშე, თვითნებურად გააუქმა წესდებით განსაზღვრული შეზღუდვა. დღემდე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არ ახდენს კომპანიის არაიურიდიული ძალის მქონე წესდების მონაცემთა ბაზიდან ამოღებას. საქმეზე არ ხდება სწრაფი და ეფექტური გამოძიება.

ორგანიზაციამ სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის საქმიანობის კვლევის ფარგლებში ნეპოტიზმის გარკვეულ ნიშნებზე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ მონიტორინგის მიმდინარეობის პროცესში ყურადღებას იქცევს სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-

მთელი წელი საზოგადოებისთვის

ვერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებები, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, მარიო შიუტცე უზრუნველყოფილია დასაქმებით დასახელებულ ორივე საჯარო სამართლის იურიდიული პირში. *როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ცენტრის დირექტორი და უნივერსიტეტის რექტორი წარმოადგენენ მეუღლეებს.* დადგენილია, რომ მარიო შიუტცე სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრში იკავებს სასტიპენდიო პროგრამების აპლიკანტების უფლებების დამცველის პოზიციას, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – სტუდენტური ომბუდსმენის თანამდებობას. ორგანიზაციამ, აგრეთვე განმარტა, რომ მარიო შიუტცე არ ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას – ქართულს და ყველა მისი ოფიციალური კომუნიკაცია განმცხადებლებთან მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე. ორგანიზაცია შესწავლილი, იდენტიფიცირებული და დადგენილი გარემოებების საფუძველზე აღნიშნავს, რომ მარიო შიუტცეს კანდიდატურის მიმართ, მისი სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრში სასტიპენდიო პროგრამების აპლიკანტების უფლებების დამცველის პოზიციასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური ომბუდსმენის თანამდებობაზე დანიშვნით, ადგილი აქვს ნეპოტიზმის ფაქტს.

ივლისი, 2018 – ორგანიზაციამ გამოაქვეყნა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ბოლო ერთი წლის საქმიანობის შესწავლის შედეგები. აღმოჩნდა, რომ ბოლო ერთ წელიწადში, 361 ექიმს დაეკისრა პროფესიული პასუხისმგებლობა, აქედან 262 ექიმს მიეცა გაფრთხილება, ხოლო 99 ექიმს შეუჩერდა სერტიფიკატის მოქმედება. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ სააგენტოს მიერ ფარმაცევტული საქმიანობის მიმართულებით გამოვლენილი დარღვევები უკიდურესად საგანგაშოა, ვინაიდან აღნიშნული პირდაპირ დაკავშირებულია მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ამ მიმართულებით კი მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მკაცრი და პრინციპული დამოკიდებულების არსებობა. აღნიშნულს თავისი საჯარო განცხადებით გამოეხმაურა სააგენტო, რომელმაც ორგანიზაცია ცილისწამებაში დაადანაშაულა, რასაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საჯაროდ უპასუხა და აღნიშნა, რომ სააგენტოს განცხადება უხამსობასთან ერთად, კანონის უცოდნირობითაც იყო ნაკარნახევი. მოგვიანებით, სააგენტომ ორგანიზაციის მიმართ დაშვებული უხეში შეცდომა აღიარა და საკუთარი ოფიციალური ვებ-გვერდიდან ორგანიზაციის საქმიანობისა და გამოქვეყნებული მონიტორინგის ოფიციალური განცხადება წაშალა.

ორგანიზაციამ გამოაქვეყნა „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ დედაქალაქში პარკირების სისტემის მართვის ერთთვიანი საქმიანობის შედეგები, სადაც აღინიშნა, რომ პარკირების წესების დარღვევისთვის, ბოლო ერთი თვის მონაცემით, 11 946 პირი 119 460 ლარით იქნა დაჯარიმებული.

ორგანიზაციამ, აგრეთვე გამოაქვეყნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის შესწავლის შედეგები, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ ბოლო სამ წელიწადში, ეტიკეტირების წესი 1025 ბიზნეს-ოპერატორმა დაარღვია, საწარმოო პროცესი კი შეუჩერდა – 969 სუბიექტს.

ორგანიზაციამ გამოაქვეყნა საქართველოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხზე შესწავლის შედეგები და აღნიშნა, რომ რისკებისა და გამოწვევების მიმართ, სახელმწიფოს სტრატეგია სწორ პრინციპებს ეფუძნება, თუმცა ტექნიკური საშუალებებისა და საჭიროებების მიმართულებით, ქვეყანაში კვლავ არასახარბიელო მდგომარეობა რჩებოდა.

ორგანიზაციამ საქართველოში საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის სტანდარტებზე საჯარო განცხადება გააკეთა, სადაც აღინიშნა, რომ მიმდინარე სფეროში „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მნიშვნელოვანი პრობლემები იკვეთებოდა. შესწავლის ძირითად საგანს წარმოადგენდა, თუ რამდენად ხორციელდებოდა უფლებამოსილი ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები, არსებობდა თუ არა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების ეფექტური მექანიზმი და ძირითადად, რა სფეროში ირღვეოდა აღნიშნული უფლებები. მოკვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა სასამართლოსთვის მიმართვიანობის სტატისტიკაზე, რომლის მიხედვითაც გამოიკვეთა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით 2015

მთელი წელი საზოგადოებისთვის

წელს ჯამში 162 სარჩელი აღიძრა, 2016 წელს – 156, ხოლო 2017 წლის პირველ ნახევარში კი – 69.
ორგანიზაციამ გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც დადგინდა, რომ ბოლო 5 წელიწადში, საქართველოში განქორწინების 46,031 შემთხვევა მოხდა და დავები სასამართლოებში რეკორდულ მაჩვენებელს აღწევდა. მზარდი განქორწინების მაჩვენებელი არაერთი სოციალური ფაქტორიდანაა გამოწვეული, თუმცა რაც ყველაზე თვალშისაცემია, განქორწინების მაჩვენებელი მაღალია ახალგაზრდა თაობაში. მიზეზები შეიძლება მოკლედ ჩამოვაყალიბოთ: ნაადრევი ქორწინება და პასუხისმგებლობის ნაკლებობა ოჯახის მართვის პროცესში, თანაცხოვრების პროცესში მესამე პირების ჩარევა, ოჯახური ძალადობა, ეჭვიანობისა და ღალატის ფაქტები, პირადი შეუთავსებლობა. განქორწინების ინიციატორი, უმეტესობა ქალბატონია.

აგვისტო, 2018 – ორგანიზაცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან ნინო გვენეტაძის გადადგომას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ სასამართლოს ხელმძღვანელის მოულოდნელი წასვლა სასამართლო ხელისუფლების დაუფარავი გამოწვევაა, რომელიც მთლიანად უკავშირდება სისტემის დამოუკიდებლობას, თავისუფლებასა და მოსახლეობის ნდობას, ნინო გვენეტაძის გადადგომის ოფიციალური მიზეზი კი არადამაჯერებელი და არასაკმარისია. დემოკრატიულ საზოგადოებაში, მოსახლეობას აქვს უფლება, ნინო გვენეტაძის გადადგომა არ განიხილოს შემთხვევით მოვლენად, ვინაიდან მართლმსაჯულების განხორციელებაზე საქართველოს კონსტიტუციით პასუხისმგებელი ხელმძღვანელი პირის გადადგომას, წინ უსწრებდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოების სისტემაში გადაწყვეტილების მიმღები სხვა ხელმძღვანელი პირების პიროვნული, თემატური თუ ინსტიტუციური დაპირისპირება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან.
ორგანიზაცია, აგრეთვე გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის პროცესს და აღნიშნა, რომ პრეზიდენტს არასწორად მიჰყავდა სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის პროცესი, დროა დასახელებულიყო ვადები და კანდიდატები. ორგანიზაციის შეფასებით, საზოგადოების ჯგუფებთან შეხვედრების დროს საუბარი მხოლოდ მომავალი თავმჯდომარის პროფესიულ და პიროვნულ მახასიათებლებს ეხებოდა და საუბარი არ იყო კანდიდატებზე, რაც პროცესს პოლიტიკურ დღის წესრიგს აძლევდა და ამით მთლიანად ზიანდებოდა მართლმსაჯულება.
ორგანიზაცია გამოეხმაურა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის გადაწყვეტილებას შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებაზე და ცენტრს უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების შემზღუდველი გადაწყვეტილების გაუქმების შეცვლისკენ მოუწოდა. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ მიღებული გადაწყვეტილება არ პასუხობდა საქართველოს მთავრობის პოლიტიკას განათლების სფეროში და მნიშვნელოვნად ლახავდა დემოკრატიის პრინციპებს. გადაწყვეტილება შეფასდა, როგორც სამართლებრივად დაუსაბუთებელი, ვინაიდან მნიშვნელოვნად ლახავდა მოქალაქეების არჩევანის თავისუფლებას ესწავლათ დასახელებულ უმაღლესს სასწავლებელში, მიეღოთ შესაბამისი განათლება და ესარგებლათ უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული სხვა სიკეთეებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიდგომები მით უფრო გაუგებარია, როდესაც უნივერსიტეტი აკმაყოფილებს ავტორიზაციის ყველა სტანდარტს, ამ ნაწილში ხდება დადებითი გადაწყვეტილება და იზღუდება უნივერსიტეტის პროფილური საქმიანობა – მიიღოს ახალი სტუდენტები. დემოკრატიულ საზოგადოებაში გადაწვეტილებები უნდა გამომდინარეობდეს კანონის არსიდან და თანაზომიერების პრინციპიდან. ის ფაქტი, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს სახელმწიფოს მიმართ გააჩნია 2013 წელს წარმოშობილი საგადასახადო დავალიანება, რაც ახალი ინფორმაცია არ ყოფილა, არ ამართლებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილებას, ვინაიდან არ შეიძლება საერთო სასამართლოებში მიმდინარე კონკრეტული დავა აღმოჩნდეს უნივერსიტეტის საქმიანობაში გაუმართლებლად ჩარევის წინაპირობა და საფუძველი.

სექტემბერი, 2018 – ორგანიზაციამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორობით მომზადებულ და საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ

მთელი წელი საზოგადოებისთვის

„მცენარე კანაფის კონტროლის შესახებ“ კანონპროექტისა და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების განხილვის შეჩერება მოითხოვა და აღნიშნა, რომ მცენარე კანაფის სამედიცინო ან/და სამრეწველო მიზნით დათესვის, მოყვანის, კულტივირებისა და წარმოების წესების შექმნამდე, საკითხი საქართველოს მოსახლეობის თანხმობას მოითხოვდა. დასახელებული კანონპროექტების წარმოდგენა საზოგადოებრივ ჯგუფებთან დისკუსიის გარეშე მოხდა, რამაც მნიშვნელოვნად შელახა საკითხის მიმართ ჯანსაღი და ობიექტური მსჯელობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების შემდგომ მოსალოდნელი და საჭირო გახდა მცენარე მარიხუანას უკანონო შეძენის, შენახვის, გადაზიდვის ან/და გადაგზავნისთვის ახალი სამართლებრივი ამკრძალავი (შემზღუდველი) რეგულაციების შემოღება, თუმცა მცენარე მარიხუანასგან განსხვავებით, მცენარე კანაფის შემდგომი სამართლებრივი კონტროლის რეგულაცია და მისი კულტივაცია (ინდუსტრიალიზაცია), წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან საკითხისადმი სრულიად ახლებურ მიდგომას და განხილულ უნდა იქნეს არამხოლოდ ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, არამედ საზოგადოებრივი სფეროს ყველა კუთხიდან. კანონპროექტების დასაშვებობა მხოლოდ ეკონომიკური ეფექტის მიღების თვალსაზრისით, დემოკრატიულ საზოგადოებაში, დასახელებული საკითხების ირგვლივ ფართო დისკუსიის გარეშე, დასაბუთებას აცლის საკითხზე თანხმობას. იქედან გამომდინარე, რომ საკითხზე დისკუსიის საჭიროებაზე თავად მიუთითებს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, ხოლო მისმა მომზადებელი სახით ინიცირებამ ხელისუფლებასა და ხალხს შორის უნდობლობა გააჩინა, მიზანშეწონილია საქართველოს მთავრობამ კანონპროექტი საქართველოს პარლამენტიდან გაიწვიოს და მკაფიო განცხადება გაკეთდეს ფართო დისკუსიის დაწყებაზე, მათ შორის ყველა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ორგანიზაციამ საქართველოში მოქმედი აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტატუს შეჩერებული სტუდენტების საკითხზე ახალი მოკვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, ქვეყანაში სტატუს შეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა 48 651-ს შეადგენს, რაც ცალსახად საგანგაშო მაჩვენებელია. საქართველოში მოქმედ 67 აკრედიტირებულ უმაღლეს დაწესებულებაში სტატუს შეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა რეკორდულად მაღალია და საერთო ჯამში, 48 651 სტუდენტს შეადგენს. განსაკუთრებით საყურადღებოა საკითხი იმის შესახებ, რომ დასახელებული მაჩვენებელი მუდმივად მზარდია. 2013 წლის მდგომარეობით, ქვეყანაში სტატუს შეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა 28 055 შეადგენდა, 2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 33 575-მდე გაიზარდა, 2016 წელს 35 841 შეადგინა, 2017 წლის მონაცემებით კი – 38 104. დასახელებულ პერიოდში შეინიშნებოდა რაოდენობის საშუალოდ 2000-დან 5000-მდე ზრდის ტენდენცია, ხოლო 2018 წლის მონაცემთან მიმართებით, ფიქსირდება რაოდენობის 10 547-ით ზრდა, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში, ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს.

ოქტომბერი, 2018 – ორგანიზაციამ დამოუკიდებელი ინიციატივის ფარგლებში, საკითხზე: „ნდობის რეიტინგი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ“, თბილისში მოსახლეობის გამოკითხვა ჩაატარა. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, მოქალაქეები მარჯანიშვილის მოედანზე, რუსთაველის გამზირსა და თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოიკითხა. გამოკითხვის მიზანს დედაქალაქის მოსახლეობის რეალური განწყობებისა და საპრეზიდენტო არჩევნების პროცესში, მათი მოლოდინების და სამოქალაქო განწყობების დადგენა წარმოადგენდა. მოქალაქეებმა უპასუხეს დასმულ კითხვებს: „აპირებთ თუ არა მონაწილეობა მიიღოთ 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში“, „გთხოვთ, დაასახელოთ პრეზიდენტობის რეგისტრირებული ერთი კანდიდატი, რომელიც იმსახურებს თქვენს ნდობას“, „რა განაპირობებს კანდიდატის მიმართ თქვენს ნდობას: ა) კანდიდატის გამოცდილება და შეხედულებები, ბ) კანდიდატის საარჩევნო პროგრამა, გ) კანდიდატის პარტიულობა დ) კანდიდატის არაპარტიულობა“, „ეთანხმებით თუ არა პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევას 2024 წლიდან?“ და „როგორ შეაფასებდით მოქმედი პრეზიდენტის საქმიანობას?“. გამოიკითხა 600-ზე მეტი მოქალაქე.

ორგანიზაცია გამოეხმაურა ტელეკომპანია „იბერიის“ მხრიდან მაუწყებლობის შეწყვეტის ფაქტს და აღნიშ-

მთელი წელი საზოგადოებისთვის

ნა, რომ მნიშვნელოვანია დაცული და გამიჯნული აღმოჩნდეს ბალანსი, კრიტიკული მედიის არსებობასა და სახელმწიფოს წინაშე არხის მესაკუთრეთა ფინანსური დავალიანების მოგვარებას შორის, რაც მძიმედ აისახება ქვეყანაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ხარისხზე. დამოუკიდებელი ტელეკომპანიის საქმიანობის შეჩერება არ პასუხობს საზოგადოების ინტერესებს. კრიტიკულად აუცილებელია საკითხების შეფასება არ მოხდეს ცალსახად და არ დაზიანდეს საზოგადოების საჯარო ინტერესები – ფლობდნენ და ღებულობდნენ მიუმხრობელ და ზუსტ ინფორმაციას. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გადადგას ნაბიჯები, რომლითაც „ომეგა ჯგუფი“ დაგროვებული ვალის, 51 მილიონი ლარის გადახდას რესტრუქტურიზაციის პირობებში შეძლებს. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ სწრაფი, ეფექტიანი და სანდო გამოძიებით პასუხი გასცეს სავარაუდო დანაშაულისა და სავარაუდო კანონდარღვევის ფაქტებს, რომლებიც გამოქვეყნებული აუდიო-ჩანაწერებით საზოგადოებას ეცნობა. ამ პროცესში, მნიშვნელოვანია კრიტიკული მედიის რეალური ფუნქციის განხორციელება და მოვლენების სამართლიანი ბალანსით საზოგადოებისთვის მიწოდება. შესაბამისად, არხის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, შეაჩეროს დამოუკიდებელი ტელეკომპანიის საქმიანობა, საკითხის მიუმხრობელი შეფასების პოზიციებიდან, აზარალებს არამხოლოდ საზოგადოებრივ ნდობას, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, დასაქმებულთა უფლებებსა და დემოკრატიას, არამედ აძლიერებს ყველა იმ მოსაზრებას, რომელიც არსებობს ოფიციოზის მხარეს.

ორგანიზაციამ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს საქმიანობის შესწავლის შედეგები გამოაქვეყნდა, რომლიც ფინანსური პოლიტიკისა და დასაქმებულთა შრომითი ანაზღაურებების, მიღებული პრემიებისა და დანამატების შეფასებით ნაწილს ეხება. შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სააგენტოს 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს 3 480 000 ლარს, საიდანაც 2 406 300 ლარი შრომის ანაზღაურებისათვის განკუთვნილ თანხას წარმოადგენს, რაც სააგენტოს წლიური ბიუჯეტის დაახლოებით 70%-ია. მოწოდებული ინფორმაციით, 2018 წლის პირველი შვიდი თვის მონაცემებით, სააგენტოს ხელმძღვანელმა შრომითი ანაზღაურების სახით, საერთო ჯამში, მიიღო – 35 000 ლარი, თავმჯდომარის სამმა მოადგილემ, ცალკ-ცალკე მიიღო – 30 800 ლარი. ამასთან, აღსანიშნავია დასახელებული თანამდებობის პირების სააგენტოში საქმიანობის პერიოდი. საგენტოს თავმჯდომარე თანამდებობაზე დაინიშნა 2011 წელს, პირველი მოადგილე – 2012 წელს, ხოლო სხვა მოადგილეები – 2016 და 2017 წლებში. საგენტოს საშტატო პოლიტიკის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სააგენტოს შტატში ირიცხება 147 თანამშრომელი, ხოლო სააგენტოში შტატგარეშედ საქმიანობს 40 პირი. მნიშვნელოვანია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შემოწმების შედეგად, დადგინდეს სააგენტოს საქმიანობაში ხარჯთეფექტურობის საკითხები და შესწავლილ იქნეს 40 შტატგარეშე თანამშრომლის ვინაობა, რათა გამოირიცხოს ნეპოტიზმის ფაქტები. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სააგენტომ შტატგარეშე თანამშრომლების პერსონალური მონაცემების გამჟღავნების საბაბით, დამალა და არ გასცა წარმოდგენილ 40 პოზიციაზე ყოველთვიურად არსებული შრომითი ანაზღაურება.

ნოემბერი, 2018 – ორგანიზაციამ საქართველოს მთავრობის წინადადება პირებზე, რომლებმაც ერთი წლის განმავლობაში ვერ გადაიხადეს კრედიტი და მათ მიერ აღებული სესხის ძირი თანხა არ აღემატება 2 000 ლარს, ჭარბვალიანობის პრობლემის რეალური დაძლევისთვის მნიშვნელოვან ნაბიჯად შეაფასა და აღნიშნა, რომ ინიციატივის განხორციელება არსებით გავლენას იქონიებდა საერთო სასამართლოების მუშაობაზე, სასამართლოს წინაშე სხვა კატეგორიის საქმეებზე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება იქნებოდა უფრო დროული და რეალური, ვინაიდან სასამართლოები აღარ განიხილავდა ან/და შეწყვეტდა ფინანსური ვალდებულებებიდან წარმოშობილი, ე.წ. პრობლემური სესხებზე არსებულ დავებს, რომლებიც აგრეთვე, დაკავშირებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებისა და შემდგომში აღსრულების პროცედურებთან. ორგანიზაციის განცხადებით, მთავრობის წინადადება ცალსახად სოციალური და ჰუმანური აქტია, თუმცა მეტი საზოგადოებრივი სიცხადისთვის, მნიშვნელოვანია იყო მთავრობას დოკუმენტურად, ნორმატიული აქტის საფუძველზე წარმოედგინა ცვლილების პროექტი, დასაბუთება და მეთოდოლოგია.

ამასთან, ორგანიზაციამ ყურადღება გაამახვილა

მთელი წელი საზოგადოებისთვის

მთავრობის ინიციატივის მიმართ საზოგადოებრივ შეფასებებში გაჩენილ კითხვებზე, რომლებიც ეხება ინიციატივის საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობის პროცესში წარმოდგენას და ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის დაშვებას. მნიშვნელოვანია, საკითხი არ შეფასდეს მხოლოდ საზოგადოებრივი შეხედულებებით და საზოგადოებამ ამ ნაწილშიც მიიღოს სახელმწიფოს კომპეტენტური უწყებების განმარტებები. მით უმეტეს, საქართველოს მთავარი პროკურატურა მზადყოფნას გამოთქვამს შეისწავლოს საკითხი, თუმცა შეუძლებელი იმის დადგენა და განსაზღვრა, რამდენად ახდენს გავლენას დავალიანების მქონე მოქალაქის პოლიტიკური და საზოგადოებრივი შეხედულების ჩამოყალიბებაზე ინიციატივა, თუკი არჩევანი კეთდება პოლიტიკურ იდეოლოგიებს, საარჩევნო კანდიდატების გამოცდილებასა და ხედვებს შორის. ამასთან, კენჭისყრის პროცედურა არ არის ღია და საარჩევნო ხმის მიცემა ხდება თავისუფალი ნების პირობებში. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია, ინიციატივის მასშტაბურობიდან გამომდინარე, გაკეთდეს სწორი სამართლებრივი შეფასებები და დასკვნები. ამასთან, ინიციატივის განხორციელების პროცესში, თანაზომიერად იქნეს დაცული კერძო და საჯარო ინტერესები, გადაწყვეტილებები მიღებულ იქნეს გამჭვირვალედ, მოქალაქეებისა და ბიზნესის უფლებების გათვალისწინებით, სადაც სახელმწიფოს მთავარი არბიტრის როლი აკისრია.

ორგანიზაცია აგრეთვე, გამოეხმაურა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მიერ სტუდენტების საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლების საკითხზე, საქართველოს პარლამენტში წარდგენილ ორგანიზაციის საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით გამოთქმულ პოზიციას და აღნიშნავს, რომ სამინისტროს პოზიცია არ პასუხობდა მთავრობის პოზიციას განათლების რეფორმის პრინციპებსა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველყოფაზე, არ პასუხობდა სტუდენტური საზოგადოების მოთხოვნებსა და აუცილებლად უნდა შეცვლილიყო. სამინისტროს წერილში აღინიშნა შემდეგი: *„აღნიშნული საგადასახადო შეღავათის შემოღების შემთხვევაში, დამქირავებელ მეწარმეს (საგადასახადო აგენტს) ეძლევა შესაძლებლობა შეიმციროს სახელფასო ხარჯი, იმგვარად, რომ დაქირავებულ სტუდენტს ხელფასი არ გაუზარდოს, რის გამოც შესაძლებელია ამ შეღავათით ფაქტობრივად ვერ ისარგებლონ იმ პირებმა, ვისთვისაც ის არის დაწესებული. არასწორია შეღავათის დაწესება ასაკობრივი ნიშნით და ბუნდოვანია საგადასახადო ადმინისტრირების განხორციელების მექანიზმები. კანონპროექტის მიღება შეამცირებს საგადასახადო შემოსავლებს, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტებზე „საქართველოს საგადასახადო კოდექსით“ უკვე დაწესებულია გარკვეული შეღავათები, კერძოდ სტიპენდია გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია განსახილველი პროექტით წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელება“.* ორგანიზაციამ საჯარო განცხადებით სამინისტროს წარმოდგენილი პოზიციების მცდარობა დაასაბუთა და უწყებას საკითხზე ინსტიტუციური დიალოგისკენ მოუწოდა.

დეკემბერი, 2018 – ორგანიზაცია გამოეხმაურა და სალომე ზურაბიშვილს საქართველოს პრეზიდენტად არჩევა მიულოცა. ორგანიზაციამ თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ მომავალი პრეზიდენტის განცხადებები სამოქალაქო დიალოგის აუცილებლობასა და დემოკრატიულ პროცესებში, ხალხის თანამონაწილეობის გაზრდაზე, პრეზიდენტის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რაც საერთო მხარდაჭერით და საჯარო ინტერესის თემებზე დართო დისკუსიით, უნდა გახდეს შესაძლებელი. მნიშვნელოვანია, საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა შექმნას მნიშვნელოვანი პლათფორმა, სადაც სამოქალაქო ორგანიზაციები, დამოუკიდებელი სამეცნიერო, აკადემიური და ექსპერტული საზოგადოება, ინსტიტუციური დიალოგის ფარგლებში, შეძლებენ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების ფარგლებში, კვალიფიციური აზრის წარმოდგენას და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის პროცესში, პრეზიდენტის მოკავშირე სწორედაც სამოქალაქო საზოგადოება იქნება. ახალმა პრეზიდენტმა უნდა შეცვალოს სამოქალაქო ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესიც და თანამშრომლობა დააფუძნოს ყველა ორგანიზაციასთან, საზომი გახდეს მათი გამოცდილება, კვალიფიციურობა და საქმიანობის მიმართულებები, რაც წინა ადმინისტრაციის პირობებში, უზრუნველყოფილი არ იყო. ორგანიზაციამ განცხადებაში აღნიშნა, რომ სალომე ზურაბიშვილი „ახალგაზრდა ადვოკატებს“



მთელი წელი საზოგადოებისთვის

ორჯერ შეხვდა - 2016 წელს, როდესაც გაცნობილ იქნა სისტემური დანაშაულის საქმეებზე არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების პრაქტიკა და ჩამორთმეული ქონების ნამდვილი მესაკუთრეების წინაშე მდგარი პრობლემები და 2017 წელს, როდესაც გაცნობილ იქნა თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო წინადადების ფარგლებში, ორგანიზაციის მიგნებები, სამართლებრივი შეფასებები და დასკვნები. ორგანიზაციამ იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ახალი ადმინისტრაცია მნიშვნელოვან პოზიტიურ როლს შეასრულებს სამართლიანობის აღდგენის პროცესში, გადაიხედება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დღევანდელი პოზიციები საერთო სასამართლოებში ყველა იმ საქმეზე, სადაც პრეზიდენტის ადმინისტრაცია მხარეა და ადგილი აქვს სისტემური დანაშაულის საკითხებზე რესტიტუციის თუ ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნებს, ვინაიდან პრეზიდენტის ადმინისტრაციის დღევანდელი პოზიციები სისტემური დანაშაულის მსხვერპლთა მიმართ, სრულიად გაუმართლებელი, შეუფერებელი და სამართლიანობის აღდგენის მთავრობის მიერ შემოთავაზებული პრინციპების საწინააღმდეგოა.

ორგანიზაცია გამოეხმაურა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და აქცენტი გააკეთა მართლმსაჯულების სისტემის დაფინანსების საკითხზე, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის შესაძლო გაუქმების პროექტით გათვალისწინებულ მიზნებზე და აღნიშნავს, რომ 2019 წლის ბიუჯეტით, სასამართლო სისტემის დაფინანსების მცირედი ზრდა, ობიექტურად, ხელს ვერ შეუწყობდა მართლმსაჯულების წინაშე არსებული რეფორმების სწრაფი ტემპით განხორციელებას, აგრეთვე, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის დაფინანსებაზე უარი არ წარმოადგენდა სამართლიან გადაწყვეტილებას. 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესწავლის შედეგად, ორგანიზაციისთვის ნათელი გახდა, საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტული და ნაკლებად მნიშვნელოვანი სფეროების შესახებ. ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს გარკვეული სამინისტროების დანახარჯების ზრდაზე, იმ პირობებში, როდესაც მართლმსაჯულებისა და სასამართლოს რეფორმისათვის საჭირო ფინანსები, ახალ პროექტით მობილიზებული არ არის. ინტერესს იწვევს საქართველოს პარლამენტის ქალაქ ქუთაისიდან თბილისში სრულად გადმოტანის ფაქტი, რომლის ერთ-ერთი მიზეზად საქმიანობის გამარტივება და ბიუროკრატიის შემცირება დასახელდა, თუმცა, მომავალი წლის ბიუჯეტში, პარლამენტის საქმიანობისთვის უფრო მეტი ფინანსური რესურსია დაგეგმილი, ვიდრე ეს მიმდინარე წელს იყო.

ორგანიზაცია ვერ დაეთანხმება ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებას იმის შესახებ, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილებების შეკვეცა ავტომატურად იწვევს სარეზერვო ფონდის გაუქმებას, რაც დაკავშირებულია მისი აღმასრულებელი ფუნქციების გაუქმებასთან. სარეზერვო ფონდის არსებობა, დასავლეთის ბევრ ქვეყანაში, უკავშირდება არამხოლოდ სტიქიურ უბედურებებთან თუ ბუნებრივ კატასტროფებთან ბრძოლას, ასევე კულტურულ, შემეცნებით თუ სახელმწიფო ინტერესთან შესაბამის სოციალურ ღონისძიებებს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ნაბიჯი ცალსახად უარყოფითად უნდა შეფასდეს.

ორგანიზაციამ განცხადება გაავრცელა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლაზე და აღნიშნავს, რომ ორგანიზაციამ სტრატეგიული სამართალწარმოების პროცესში, მნიშვნელოვანი შედეგი მოიპოვა - ქ. ბათუმის რ. შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმის ყველა კურსდამთავრებული, რომელთა მიმართაც სკოლამ ატესტატი გასცა, მაგრამ სახელმწიფომ მას იურიდიული ძალმოსილება არ მიანიჭა, სასამართლომ სახელმწიფოს მიდგომები უკანონოდ ცნო. შესაბამისად, შაჰინის სკოლის ყველა კურსდამთავრებულის ატესტატი, ამ გადაწყვეტილების შემდეგ, იურიდიულ ძალას შეიძენს. ამასთან, ორგანიზაციამ საქართველოს მთავარ პროკურორს სპეციალური განცხადებით მიმართა და ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ საქმის პირად კონტროლზე აყვანას მოითხოვა, სადაც აღინიშნა, რომ ე.წ. ყალბი სესხების საქმეზე გამოძიებას, პროკურატურა, სათანადო სამართლებრივი რეაგირების გარეშე ტოვებს, რაც სავარაუდო დამნაშავე პირების მიმართ, ხელის დაფარების შთაბეჭდილებას ტოვებს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, წლის ბოლოს მიწვეულ იქნა და დაესწრო საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციას, საქართველოს მთავრობის 2018 წლის საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაციასა და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2018 წლის საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაციას.

პოლიტიკაში ახალი სახეები უნდა მოვიდნენ

23 აპრილი, 2018 – აშშ სახელმწიფო დეპარტამენტისა და „Freedom House"-ის დასკვნები, რომლებიც საქართველოში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის ხარისხის შეფასებებზე გამოქვეყნდა, მიუთითებენ ერთადერთზე – საჭიროა ახალი პოლიტიკა, ხალხის თანამონაწილეობის გაზრდა ქვეყნის მმართველობით პროცესში და ქართულ პოლიტიკაში ახალი სახეების მოსვლა. სწორედ ასეთი შესაძლებლობების გაჩენით იქნება შესაძლებელი მოსახლეობის გარკვეული სკეპტიციზმის შეცვლა და ნდობის აღდგენა სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ. აღნიშნულის შესახებ ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების" ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტისა და „Freedom House"-ის დასკვნები, ობიექტურად ასახავს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და მკვეთრ პასუხებს მოითხოვს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გაკეთებულ შეფასებებზე. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტისა და „Freedom House"-ის დასკვნებს შორის განსხვავებები მაინც არსებობს. „Freedom House"-ის ანგარიში ცალმხრივად განიხილავს მედიის თავისუფლებისა და დემოკრატიის მაჩვენებლებს, არ ეყრდნობა დამოუკიდებელ წყაროებს და მიდრეკილია ტენდენციურობისკენ. მიუხედავად იმისა, რომ „Freedom House"-ის ანგარიში ქართულ მედიას უწოდებს კრიტიკულს და მრავალფეროვანს, დასაბუთებული არ არის რომელიმე სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის ვარაუდებზე მითითება. ამასთან, ტელეკომპანიებს შორის მფლობელთა ცვლილება განხილული არ არის კომერციული ინტერესების საფუძვლებიდან. ამასთან, გაუგებარი რჩება საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის კრიტიკა ძალაუფლების კონოლიდაციაზე მითითებით, ვინაიდან საკონსტიტუციო რეფორმა, ხარვეზების მიუხედავად, ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, არ ტოვებს ძალაუფლების კონსოლიდაციის საფრთხეს. რაც შეეხება აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშს, დასმული საკითხთა განხილვით მეტ შინაარსობრივ დასაბუთებას იძლევა და ეფუძნება დამოუკიდებელი წყაროების მონაცემებს, მათ შორის საჯარო უწყებების მონაცემებსა და საზოგადოებრივი პროცესის დამოუკიდებელ ანალიზს.

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტისა და „Freedom House"-ის დასკვნებში სასამართლო ხელისუფლების მიმართ გამოთქმული პრეტენზიები უკიდურესად საყურადღებოა. ორგანიზაცია სრულად ეთანხმება მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების დროს პროცესულაურ დარღვევებზე მითითებებს და საქმეთა გადატვირთულობის შესახებ ჩანაწერს, რომელიც უარყოფითად მოქმედებს სასამართლო სისტემაში უფლებების დაცვის შესაძლებლობებსა და საერთო მდგომარეობაზე. ანგარიშებში დამაფიქრებელია და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეაგირებას მოითხოვს ცალკეული მოსამართლეების უფლებამოსილების განხორციელების შეფასებები, რომელთა საერთო ანალიზი, არ გამორიცხავს სასამართლო სისტემაში, მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებზე კორუფციულ გარიგებათა არსებობას.

სამწუხაროდ, ქვეყანაში არ არსებობს დამოუკიდებელი სოციოლოგიური კომპანიები და არ ხდება საზოგადოებრივი აზრის მიუკერძოებელი შესწავლა. საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციები ქვეყნის შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშებში, ხშირად უთითებენ ეროვნულ დონეზე მოქმედი იმ ორგანიზაციების პოზიციებს, რომელთა შეხედულებები, ხშირ შემთხვევაში, საზოგადოებრივი პოზიციებისგან რადიკალურად განსხვავებულია. იმ ვითარებაში, როდესაც სახეზეა ანტიპარტიული განწყობები, არ არსებობს თავისუფალი ფული და ბლოკირებულია საგრანტო პოლიტიკა, დამოუკიდებელ ორგანიზაციებს არ ეძლევათ განვითარების შესაძლებლობები, ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენს ანალიტიკური აზროვნება, ყოველივე ზემოაღნიშნული კი ამუხრუჭებს დემოკრატიულ პროცესების ხალხის ინტერესების შესაბამისად განვითარებას, არამდგრადს ხდის ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციურ მექანიზმებსა და საფუძველი ხდება დაშვებულ იქნეს ცალკეული ცდომილებები საერთაშორისო შეფასებებში.

ნინო გვენეტაძის გადადგომის მიზეზი არადამაჯერებელი და არასაკმარისია

2018 წლის აგვისტოში, ორგანიზაცია გამოეხმაურა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან ნინო გვენეტაძის გადადგომას და აღნიშნა, რომ სასამართლოს ხელმძღვანელის მოულოდნელი წასვლა სასამართლო ხელისუფლების დაუფარავი გამოწვევაა, რომელიც მთლიანად უკავშირდება სისტემის დამოუკიდებლობას, თავისუფლებასა და მოსახლეობაში ნდობას, ნინო გვენეტაძის გადადგომის ოფიციალური მიზეზი კი არადამაჯერებელი და არასაკმარისია.

ორგანიზაციის შეფასებით, დემოკრატიულ საზოგადოებაში, მოსახლეობას აქვს უფლება, ნინო გვენეტაძის გადადგომა არ განიხილოს შემთხვევით მოვლენად, ვინაიდან მართლმსაჯულების განხორციელებაზე საქართველოს კონსტიტუციით პასუხისმგებელი ხელმძღვანელი პირის გადადგომას, წინ უსწრებდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოების სისტემაში გადაწყვეტილების მიმღები სხვა ხელმძღვანელი პირების პიროვნული, თემატური თუ ინსტიტუციური დაპირისპირება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან. შესაბამისად, საზოგადოებისთვის ცნობილი იყო ნინო გვენეტაძის საჯარო პოზიციები და მიდგომებიც, როგორც სასამართლო სისტემის რეფორმის საკითხებზე, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოების სისტემაში გადაწყვეტილების მიმღები სხვა ხელმძღვანელი პირების მიმართ. ამიტომაც, ნინო გვენეტაძის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მსჯელობის დაშვება ისეთივე მაღალი საჯარო ინტერესის თემაა, როგორც გადადგომაზე მიღებული გადაწყვეტილებისთვის თავისუფალი ნების გარემოს შეფასება. აღნიშნული სასამართლო სისტემამ მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულების საკითხიდან უნდა დაინახოს.

ნინო გვენეტაძე საქართველოს უზენაეს სასამართლოს რთულ და გარდამავალ პერიოდში ხელმძღვანელობდა და საკასაციო სასამართლომ შეძლო დამოუკიდებლობის ხარისხის შენარჩუნება. *2012 წლის პოლიტიკური ცვლილებების მთავარი მოტივაცია, მათ შორის ერთპარტიული დემოკრატიის სასამართლო ხელისუფლებაში დასრულების აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, თუმცა ყველა პრობლემის სათავე, მათ შორის სასამართლო ხელისუფლებაშიც, შესაძლებელია განპირობებული იყოს იმ ფაქტორებით, როდესაც არ მომხდარა მძიმე მემკვიდრეობის სამართლებრივი შეფასება, პასუხისმგებლობის ტვირთის გადანაწილება, სასამართლო ხელისუფლებისთვის მისი ძირითადი ფუნქციის დაბრუნება და სამართლიანობის აღქმის საზოგადოებრივი მოთხოვნების უზრუნველყოფა.* ამ პროცესში, ნინო გვენეტაძემ ქართული სასამართლო სისტემის განვითარებისთვის, აირჩია მკვეთრი პოზიცია და რეფორმების კვალდაკვალ, მხარი დაუჭირა ისეთ ცვლილებებს, რომლებიც ერთნაირად პოპულარული და მისაღები ვერ აღმოჩნდა მოსამართლეთა გარკვეული ნაწილისთვის. ამიტომაც, მისი გადადგომა, გაცილებით მეტ კითხვას აჩენს და იმავდროულად პასუხს სცემს საერთო სასამართლოების სისტემაში დღეს მიმდინარე მოვლენებს.

ორგანიზაციის შეფასებით, სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა საზოგადოების ფართო მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილების მიმღებმა ყველა პოლიტიკურმა ინსტიტუციამ – პრეზიდენტმა თუ პარლამენტმა, მხედველობაში მიიღოს საკითხის საზოგადოებრივი ინტერესი და არ მოხდეს სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის პროცესი პოლიტიკური ძალაუფლების დემონსტრირებად, რაც კიდევ ერთხელ ნეგატიურად აისახება მართლმსაჯულების მიმართ მოსახლეობის ნდობაზე.

მნიშვნელოვანია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მომავალი თავმჯდომარეობის კანდიდატად შერჩეული იქნეს პირი, რომელიც პიროვნული და პროფესიული ღირსებებით ახლოს დგას საზოგადოების მორალურ-სამართლებრივ მოთხოვნებთან. **უზენაესი სასამართლო თავად უწესებს თავმჯდომარეობის კანდიდატს მაღალ სტანდარტებს, რომელთა გაუთვალისწინებლობაც, მძიმე შედეგებს მოუტანს ქართულ სასამართლოს, ჩვენს დემოკრატიას და მთლიანად საზოგადოებას. დღემდე, ორგანიზაციის მიერ დასმულ აქცენტებზე, საზოგადოებას პასუხები არ გააჩნია.**

ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენცია თბილისში. ნოემბერი, 2018

შეხვედრა საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის აპარატთან. თებერვალი, 2018

სამართალწარმოება მარეგულირებელ კომისიაში. თებერვალი, 2018

არასამთავრობოთა შეხვედრაზე თბილისის საკრებულოში. იანვარი, 2018

განხილვა პარლამენტის განათლების კომიტეტში. სექტემბერი, 2018

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და საქართველოს შსს-ს თანამშრომლობის მემორანდუმზე. ოქტომბერი, 2018

სამართლის უზენაესობის თემაზე კონფერენცია. მარტი, 2018

ადვოკატთა სართაშორისო კონფერენცია თბილისში. ოქტომბერი, 2018

GBA-ის ახალი ვებ გვერდის პრეზენტაციაზე. დეკემბერი, 2018

შეხვედრა შსს მინისტრთან. ოქტომბერი, 2018

კადრი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სხდომიდან. მაისი, 2018

პრეცედენტი შედგა – უზენაესი ვერდიქტი

სახელმწიფომ სამართლიანობის აღდგენის პროცესში, მოქალაქე როლანდ ბლადაძის წინაშე აღებული ვალდებულებები კეთილსინდისიერად შეასრულა და უძრავი ქონება, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად, ქონებაჩამორთმეულს გადაეცა. 2018 წლის 3 დეკემბრის მდგომარეობით, ალტერნატიული ფართი როლანდ ბლადაძის საკუთრებაში აღირიცხა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოში სახელმწიფოსთან სახით საქართელოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და 2007-2016 წლებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან, მოქალაქე როლანდ ბლადაძის ჩამორთმეული ქონების საქმეზე დავა სამმხრივი მორიგების აქტის საფუძველზე, 2018 წლის 11 ივნისს დასრულდა, რასაც საკასაციო სასამართლომ უწოდა ისტორიული შეთანხმება და ფაქტი *(მოსამართლეები: ნინო ბაქაქური (თავმჯდომარე მოსამართლე), ზურაბ ძლიერიშვილი, ბესარიონ ალავიძე).*

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 ივნისის განჩინების საფუძველზე, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15 მარტის განჩინება *(მოსამართლეები: მერაბ ლომიძე (თავმჯდომარე), თეა ძიმისატარაშვილი, ამირან ძაბუნიძე)* და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება *(მოსამართლე: დიანა ფარქოსაძე)*, რომლითაც როლანდ ბლადაძის მოთხოვნები არ იქნა დაკმაყოფილებული. სასამართლოს ახალი განჩინებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ აიღო ვალდებულება, სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, მოემზადებინა და საქართველოს მთავრობისთვის განსახილველად წარედგინა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი, რომლის თანახმადაც: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 262.39 კვ.მ უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისი, ნინო ჟვანიას (ყოფილი კეკელიძე) ქ. N72-ში, მე-3 სექცია, მე-12 სართული, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაეცემოდა როლანდ ბლადაძეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 5 ნოემბრის დამატებითი განჩინებით, გასწორდა გარკვეული ტექნიკური ხასიათის უზუსტობები, რომლითაც სახელმწიფომ როლანდ ბლადაძის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახლდა. საქართველოს მთავრობამ 2018 წლის 26 ნოემბერს მიიღო განკარგულება როლანდ ბლადაძის მიმართ ქონების პრივატიზაციის შესახებ. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და როლანდ ბლადაძეს შორის 2018 წლის 27 ნოემბერს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება. საპრივატიზაციო თანხა გადახდილ იქნა 2018 წლის 29 ნოემბერს, ხოლო 2018 წლის 3 დეკემბერს, სსიპ საჯარო რეესტრის

ზურაბ ძლიერიშვილი, მოსამართლე

ნინო ბაქაქური, კოლეგიის თავმჯდომარე მოსამართლე

ბესარიონ ალავიძე, მოსამართლე

ეროვნული სააგენტოს ამონაწერის თანახმად, როლანდ ბლადაძე გახდა ჩამორთმეული ქონების სანაცვლოდ, ქ. თბილისში, ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის მესაკუთრე.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, როლანდ ბლადაძის ჩამორთმეული სახლი ქ. ბათუმში დღევანდელი საბაზრო ღირებულებით, შეფასდა 497,459 ლარად. ამასთან, სახელმწიფოს მიერ როლანდ ბლადაძის მიმართ გადასაცემი უძრავი ქონება ქ. თბილისში, ამავე დასკვნის თანახმად, დღევანდელი საბაზრო ღირებულებით შეფასებულია 399,866 ლარად.

სასამართლოს 2018 წლის 11 ივნისის განჩინების საფუძველზე, როლანდ ბლადაძეს სრული უფლება რჩება, სახელმწიფოს მიმართ გააგრძელოს ახალი დავა, რომელიც ეხება უკანონო სისხლის სამართლებრივი პროცესიდან გამომდინარე დამდგარი ზიანის, ასევე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნებით ჩამორთმეული და გადასაცემი ქონებების ფასთა სხვაობას შორის.

2018 წლის 11 ივნისის განჩინების საფუძველზე, როლანდ ბლადაძემ უარი განაცხადა მხოლოდ წარმოებული დავის საგნის ირგვლივ ყოველგვარ მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელზე, როგორც საქართველოს საერთო სასამართლოებში, ისე, ნებისმიერი სხვა ქვეყნის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმის განმხილველი პალატის შეფასებით, რომელიც მორიგების აქტის გაფორმების პროცესში გამოითქვა, სახელმწიფოს მიერ წარსულში ჩადენილი გადაცდომების აღიარება, მოქალაქის ინტერესების დაცვა, ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის დაზარალებული ოჯხის მიმართ გადაცემა, სახელმწიფოს ახალი პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის მაგალითია.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელის, როლანდ ბლადაძის ადვოკატის, **არჩილ კაიკაციშვილის** განცხადებით, როლანდ ბლადაძემ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნაბიჯი გადადგა და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მიიღო სწორი გადაწყვეტილება. როლანდ **ბლადაძის თვითმიზანი არ ყოფილა საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ დავის ევროსასამართლოში გაგრძელება ან საქართველოს სახელმწიფოს იმიჯის ხელყოფა, თუკი ევროსასამართლოში დავას გააგრძელებდა გიორგი პაპუაშვილი.** საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 ივნისის განჩინებამ საკადრისი პასუხი გასცა, როგორც აღმასრულებელი, ასევე სასამართლო ხელისუფლების უკანონო მოქმედებებს, რომელიც ქონების ჩამორთმევის და შემდგომი განკარგვის, ცალკეული მოსამართლეების მიერ სისტემური დანაშაულის საქმეზე მიღებულ უკანონო და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებს ეხებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 ივნისის განჩინება არ ცვლის ობიექტურ

სინამდვილეს – გიორგი პაპუაშვილი კვლავ ჩამორთმეულ სახლში ცხოვრობს. აჭარის ა/რ პროკურატურის 2013 წლის 12 აპრილის დადგენილებით, როლანდ ბლადაძე უდანაშაულოდ იქნა ცნობილი, გაუქმდა დაპატიმრებისა და ძებნის ბრძანებები. დადგინდა, რომ დანაშაული, რომლის საფუძველზეც როლანდ ბლადაძეს ქონება ჩამოერთვა, ჩადენილი არ ყოფილა. ამიტომაც, მოცემულ ეტაპზე, მნიშვნელოვანია შემდგომი კომუნიკაციის უზრუნველყოფა, რომელიც დაახლოებს როლანდ ბლადაძისა და გიორგი პაპუაშვილის ინტერესებს ქ. ბათუმში, პირვანდელი საცხოვრებელი სახლის გაცვლის ან/და კანონით განსაზღვრული სხვა ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით. **დაზარალებული ოჯახი იმედს გამოთქვამს, რომ მხარეები ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, ურთიერთთანხვედრ გადაწყვეტილებას მიიღებენ.**

საქართველოს უზენაესს სასამართლოში საქმეზე სხდომები 5 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. საკასაციო სასამართლომ 2017 წლის 15 სექტემბრის განჩინებით, საქმე პრეცედენტული დავის სტატუსით, დასაშვებად სცნო. საქმიდან 2017 წლის 20 ივნისსა და 8 სექტემბერს თვითაცილება განაცხადეს მოსამართლეებმა: *მაია ვაჩაძემ, ნუგზარ სხირტლაძემ* და *პაატა სილაგაძემ*. მანამდე, თბილისის სააპელაციო სასამართლოში, საქმიდან აცილებულ იქნა განმხილველი პალატა მოსამართლეების: *გიორგი გოგიაშვილის, ნინო ქადაგიძისა* და *მანანა ჩოხელის* შემადგენლობით. დადგენილია, რომ როლანდ ბლადაძის საქმე, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში, 2004-2018 წლებში, სულ 42 მოსამართლემ განიხილა. 2014 წლიდან ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, საქმეზე ადვოკატირების პროცესი „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ დაიწყეს.

„ლაზიკა კაპიტალის“ პრეცედენტული საქმე უზენაესმა სასამართლომ არსებითი განხილვისთვის დაუშვა

საქმე, რომელიც მოიცავს სამართლებრივ პრობლემას და რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არსებითი განხილვისთვის მიიღო. სასამართლომ საკასაციო საჩივარი განსახილველად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად დაუშვა რაც გულისხმობს *„საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე“*, რითაც სრულად გაიზიარა „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელის, ადვოკატ არჩილ კაიკაციშვილის დასაბუთება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების დაუსაბუთებლობისა და მიკერძოების თაობაზე.

2018 წლის ივნისიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წარმოებაშია სააქციო საზოგადოების საქმე, რომელიც ეხება პარტნიორთა კრების ოქმის გაუქმებას და დელიქტიდან წარმოშობილი პარტნიორი წევრის მიმართ გაუნაწილებელი დივიდენდის კანონიერების საკითხს. დადგენილია, რომ 2015 წლის 8 აპრილს შედგა აქციონერთა საერთო კრება. დღის წესრიგით განხილულ საკითხთა შორის განხილულ იქნა ერთ-ერთი პარტნიორის მიმართ დივიდენდის გაცემის საკითხი. პარტნიორთა კრებამ გადაწყვიტა, რომ პარტნიორთა წილი გაუნაწილებელ დივიდენდად უნდა გამოყოფილიყო. გადაწყვეტილების საფუძველი გახდა მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ეხება სააქციო საზოგადოების მიმართ ფინანსური დანაშაულის ჩადენის ფაქტს. მტკიცებულებათა ერთობლიობით, დასახელებული პარტნიორი უშუალოდ მონაწილეობდა სააქციო საზოგადოების წინაშე ჩადენილი დანაშაულის მომზადებაში, ფლობდა ინფორმაციას ე.წ. „ყალბი სესხების“ გაცემაზე, შესაბამისად, პარტნიორთა კრების ოქმში აღინიშნა, რომ პარტნიორს, მართალია, გააჩნია დივიდენდის მიღების უფლება, თუმცა იმ ფინანსური ზიანის საშიშროებიდან გამომდინარე, რომელიც შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმეზე დადასტურდეს, გამოიწვევს რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურებას. ამიტომაც, აქციონერთა კრებამ სამართალში აღიარებული უმნიშვნელოვანესი პრინციპის გამოყენებით – ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილება მიიღო პარტნიორის დივიდენდის გაუნაწილებელ დივიდენდად გამოყოფის უფლებაზე და კრებას უარი არ უთქვამს აქციონერის უფლებაზე, ფლობდეს მოგებას და დივიდენდს.

ორგანიზაციის შეფასებით, სააქციო საზოგადოების პარტნიორმა პარტნიორთა კრების ოქმი სასამართლო წესით გაასაჩივრა 2016 წლის 17 ნოემბერს, 16 სრული კალენდარული თვისა და 39 კალენდარული დღის შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში, სადავოდ მიჩნეულია «მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-15 მუხლი, რომელიც ადგენს შემდეგს: I – ამ კანონის მიხედვით პრეტენზიების ხანდაზმულობის ზოგადი ვადა არის ხუთი წელი, რომელიც აითვლება მათი წარმოშობიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს. II – დაუშვებელია პარტნიორთა კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება შესაბამისი ოქმის შედგენიდან 2 თვის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრება (სხდომა) მოწვეულ იქნა ან ჩატარდა კანონის ან წესდების ნორმათა უხეში დარღვევით. ამ შემთხვევაში გასაჩივ-

რების ხანდაზმულობის ვადა ერთი წელია. ამჟამად, სადავო გარემოებაა პარტნიორთა კრების ოქმის გასაჩივრება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ გასაჩივრება. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ კრების ოქმის გასაჩივრების ვადად მიჩნეულ იქნა «მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-15 მუხლის პირველი ნაწილი – 5-წლიანი საპროცესო ვადა, რასაც სააქციო საზოგადოება არ ეთანხმება.

მოცემულ შემთხვევაში, დავა ეხება დივიდენდის არა გაცემაზე უარს, არამედ გაუნაწილებელ დივიდენდად საზოგადოების წევრთა გადაწყვეტას. აღნიშნულის საფუძველია საზოგადოების ერთ-ერთი წევრი პარტნიორის კანონთან კონფლიქტში არსებობის ფაქტი. ამასთან, ამავე პირის მიერ საზოგადოების წინაშე ჩადენილ დანაშაულში მონაწილეობის აღიარება. ამასთან, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მყარი შეფასების გარეშეა დარჩენილი საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებების მართლზომიერების საკითხი, როდესაც საკითხი ეხება – კომპანიის კომერციულ ინტერესებს, პარტნიორის არაკეთილსინდისიერებას, დივიდენდს, როგორც საკუთრებას და საწარმოს მიმართ დამდგარ ზიანს. კანონი, ასეთ ვითარებაში, ქცევის არავითარ დადგენილ სტანდარტს არ გვთავაზობს, საქართველოს უზენაეს სასამართლოში კი, იდენტური ხასიათის დავებზე, ჯერ გადაწყვეტილება არ მიღებულა.

საქმის არსებითი განხილვისთვის დასაშვებად გადაწყვეტილება მოსამართლეებმა: მზია თოდუამ (თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), პაატა ქათამაძემ და ეკატერინე გასიტაშვილმა მიიღეს. საქმეზე სააქციო საზოგადოების ინტერესებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი, არჩილ კაიკაციშვილი იცავს. ორგანიზაციას, აგრეთვე მიაჩნია, რომ დასაბუთებულია სასამართლოში წარდგენილი მოთხოვნა და მიზანშეწონილად მიიჩნევს დავა განსახილველად გადაეცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას.



სასამართლომ თემურ ბასილია უდანაშაულოდ ცნო და უკანონო მსჯავრდების განაჩენი გააუქმა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით, საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერი და პრეზიდენტის ყოფილი თანაშემწე თემურ ბასილია უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გაუქმდა 2008 წლის 28 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის ის ნაწილი, რომლითაც თემურ ბასილიას უკანონო მსჯავრი დაედო. მიღებული გადაწყვეტილებით, სასამართლომ სრულად გაითვალისწინა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის 2017 წლის 27 იანვარის დადგენილება „მსჯავრდებულ თემურ ბასილიას მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ“ და ახალი გამოძიების შედეგად წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდა, რომ თემურ ბასილია წინა ხელისუფლების პირობებში პოლიტიკური ნიშნით იქნა დევნილი.

თემურ ბასილიას ადვოკატების, **არჩილ კაიკაციშვილისა** და **გია ტაბლიაშვილის** განცხადებით, **თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება პრინციპული მნიშვნელობისაა და მადლობას იმსახურებს საქართველოს მთავარი პროკურატურის ახალი გამოძიება, რომელმაც თემურ ბასილიას უდანაშაულობის დამტკიცება შეძლო. სასამართლომ შეძლო საქმეში ჭეშმარიტების დადგენა და სამართლიანობის აღდგენის პროცესში, აღნიშნულს მაღალი რწმენის მნიშვნელობა აქვს.** თემურ ბასილიას, კანონით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შედეგად, საშუალება ექნება თავისუფლად დაბრუნდეს სამშობლოში. „ჩვენ ვართ უფლებამოსილი, ბატონი თემურის სახელით, მადლობა ვუთხრათ საზოგადოებას მხარდაჭერისთვის და თანადგომისთვის“ – განაცხადეს ადვოკატებმა.

მთავარი პროკურატურის ახალი გამოძიების პირობებში დადგინდა, რომ 2006 წლის 25 თებერვალს, გენერალური პროკურატურის მიერ თაღლითობის და დოკუმენტის გაყალბებისთვის დაკავებული იყო სს „ინტელექტბანკი“-ს გენერალური დირექტორი გოგი სალია და ცენტრალური ფილიალის მმართველი ლევან კვირიკაშვილი. მაშინდელ პროკურატურას სურდა დანაშაულში გამოევლინა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ყოფილი თანაშემწე თემურ ბასილია, რომელიც დაპირისპირებული იყო იმჟამინდელ ხელისუფლებასთან. ამ მიზნით, პროკურატურის ხელმძღვანელი პირების ორგანიზებით, საპატიმრო დაწესებულებაში, ფარულად, კანონდარღვევით შეიყვანეს „ინტელექტბანკის“ აქციონერები, რომლებმაც პატიმარ გოგი სალიას და ლევან კვირიკაშვილს გადასცეს პროკურატურის კატეგორიული მოთხოვნა, რომ ხელი მოეწერათ იმ ჩვენებაზე, რომელსაც მათ გამოძიება წარუდგენდა, თითქოსდა თემურ ბასილია „ინტელექტბანკისთვის“ დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ, ბანკისგან ქრთამის სახით იღებდა ფულად თანხებს. პროკურატურისთვის ასეთი ჩვენების მიცემის შემთხვევაში კი მათი საქმე დადებითად გადაწყდებოდა და ისინი საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დატოვებდნენ საპატიმრო დაწესებულებას. პროკურატურის მიერ ასეთი მეთოდებით ყალბი ჩვენების მიღების შემდეგ, თემურ ბასილია უკანონოდ იქნა მსჯავრდებული. წინა ხელისუფლების უკანონო მოქმედებები და ბრძანებები სასამართლოს წინაშე დაადასტურეს საქმეზე დაკითხულმა მოწმეებმაც. მოწმეებმა გამორიცხეს თემურ ბასილიას მიერ ბანკის სამსახურეობრივი მფარველობა, ისაუბრეს ასეთი დაშვების სამართლებრივი და ფაქტობრივი ხასიათის შეუძლებლობაზე და დეტალურად გაიხსენეს თემურ ბასილიას წინააღმდეგ პოლიტიკური დევნის პროცესი.

2011 წლის 26 მაისს, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ თემურ ბასილიას მიანიჭა პოლიტიკური დევნილის სტატუსი. თემურ ბასილიას საქმე მოხვდა 2018 წლის აპრილში გამოქვეყნებულ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც.

თემურ ბასილიას უკანონო მსჯავრდების საქმე მოსამართლეებმა: მაია ხოლოაშვილმა (თავმჯდომარე), შორენა ყაველაშვილმა და მზია ლომთათიძემ განიხილეს. საქმე აღნიშნულ კოლეგიას მას შემდეგ გადაეცა, რაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თემურ ბასილიას ბრალდების გადახედვის თაობაზე განჩინება მიიღო. მანამდე, 2017 წლის 27 იანვარს, მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა მიიღო დადგენილება „მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ“, რომლითაც თემურ ბასილია, წინა ხელისუფლების პირობებში წარდგენილ ბრალდებაში, უდანაშაულოდ იქნა ცნობილი. საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში 2017 წლის აპრილიდან დაიწყო. თემურ ბასილიას კანონიერი ინტერესები: არჩილ კაიკაციშვილმა და გია ტაბლიაშვილმა, ხოლო საქართველოს მთავარი პროკურატურიდან ანრი არსენიშვილმა, თინათინ მახარაძემ და გიორგი მიქავამ წარმოადგინეს. საქმეზე სამოქალაქო ადვოკატირება განახორციელეს „ახალგაზრდა ადვოკატებმა“.



2018: მამუკა ხაზარაძე ხელშეუხებელია, რამაზ ახვლედიანი კვლავ დაზარალებული, ლისის ტბა – წართმეული

ორგანიზაციის ადვოკატირების პროცესში, 2018 წლის განმავლობაში, კიდევ ერთ გახმაურებულ და მაღალი საჯარო ინტერესის საქმეზე – ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანის მიმართ ლისის ტბის წართმევის საქმეზე, სამართალწარმოება რამდენიმე მიმართულებით გრძელდება.

სისტემური დანაშაული

ორგანიზაცია 2015 წლიდან, დაზარალებული ბიზნესმენი კი 2012 წლიდან მოითხოვს, სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მისცეს 2006 წლის 4 ნოემბერს, რამაზ ახვლედიანის ფინანსურ პოლიციაში დაბარების ფაქტს, სადაც ბიზნესმენს დააწერინეს განცხადება ლისის ტბის სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობის თაობაზე. საქმის მასალებიდან დასტურდება, რომ რამაზ ახლედიანი იძლებული გახდა, თბილისის მაშინდელი მერიისა და მთავრობის სახელზე დაეწერა განცხადება და ეღიარებინა, რომ 1999 წლის საიჯარო ხელშეკრულებით, ასევე პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის განკარგულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა და მოითხოვა საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება, რომლის მიხედვითაც, მას გადაეცა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული შენობა – ნაგებობები და რომლებიც ბიზნესმენს უკვე გამოსყიდული ჰქონდა. წერილში, ნების საწინააღმდეგოდ, რამაზ ახვლედიანმა უარი განაცხადა პრეზიდენტის განკარგულებით გადაცემულ 63,5 ჰა არასასაფოლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღების უფლებაზეც და ეკონომიკის სამინისტროსგან უკვე გამოსყიდულ შენობა-ნაგებობებზეც. ამ განცხადებიდან მე-6 დღეს, 2006 წლის 10 ნოემბერს, მიხეილ სააკაშვილმა გამოსცა ახალი განკარგულება და 1999 წელს რამაზ ახვლედიანის მიერ შეძენილი და 2006 წელს პრეზიდენტის განკარგულებითვე გადაცემული ქონება, ჩამოერთვა.

მოთხოვნა პროკურატურასთან

საქართველოს პროკურატურაში, რამაზ ახვლედიანის ლისის ტბის წართმევის საქმეზე, მნიშვნელოვანი წინსვლა არ არის, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიმართულებით კი განხორციელებული ღონისძიებები – არასაკმარისია. საქმეზე დაკითხული არ არაინ საჯარო მოხელეები, რომლებმაც აიძულეს რამაზ ახვლედიანი ქონება ნების საწინააღმდეგოდ დაეთმო. მხარემ აღნიშნული პირების დაკითხვის მოთხოვნით, პროკურატურას ჯერ კიდევ 2017 წლის 13 თებერვლის დასაბუთებული განცხადებით მიმართა. საქმეზე დაკითხული არ არის მამუკა ხაზარაძე, რომელიც ქონების დათმობის პროცესში, წარმოადგენდა რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორს, დუმილი ამჯობინა და ამით, გაურიგდა მიხეილ სააკაშვილს და მაშინდელ ხელისუფლებას. მხარე მოითხოვს, საგამოძიებო უწყებამ დაკითხოს რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორი, დღეს „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე. მამუკა ხაზარაძის მოწმის სახით დაკითხვით უნდა დადგინდეს, თუ რა ინფორმაციას ფლობდა ბიზნეს-მოწილე და პარტნიორი იმ პროცესის შესახებ, რომელიც ქონების დათმობის პერიოდს უკავშირდება. მამუკა ხაზარაძის დაკითხვა ემსახურება მნიშვნელოვან იურიდიულ ინტერესს, ვინაიდან რამაზ ახვლედიანის მიმართ ქონების დათმობის შემდეგ, პრეზიდენტის განკარგულებით, იგივე საპროექტო პირობებით, დათმობილი ქონების მესაკუთრე გახდა სწორედ მამუკა ხაზარაძე და მისი

2018: მამუკა ხაზარაძე ხელშეუხებელია, რამაზ ახვლედიანი კვლავ დაზარალებული, ლისის ტბა – წართმეული

კომპანიები. შესაბამისად, მისი დაკითხვა საქმის ყოველმხრივ შესწავლისა და გამოძიებისთვის, არსებითად მნიშვნელოვანია.

მამუკა ხაზარაძის აღიარება

საზოგადოებამ 2 ნოემბერს მოისმინა „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძის განცხადება, რომელიც საუბრობდა მიხეილ სააკაშვილის მთავრობის პირობებში საკუთარი ბიზნესის დათმობის მცდელობებზე. საზოგადოებამ 4 ნოემბერს მოისმინა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადება, რომელმაც აღნიშნა, რომ მაშინდელმა მთავრობამ მამუკა ხაზარაძეს ლისის ტბა საკუთრებაში გადასცა და შეუქმნა მხარდამჭერი გარემო. ორგანიზაციამ 2018 წლის 5 ნოემბერს საჯარო განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ სწორედ და ამ ვითარებაში, არავის ახსენდება ბიზნესმენი რამაზ ახვლედიანი, რომელსაც მამუკა ხაზარაძემ და მიხეილ სააკაშვილმა, სწორედ მაშინდელი გარიგებების შედეგად, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ დაათმობინეს ლისის ტბა. რამაზ ახვლედიანი უკვე „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მეხუთე მთავარი პროკურორისგან ელოდება სამართლიანობის აღდგენას და დაზარალებულად ცნობას. პროკურატურა საქმეს არ იძიებს, შედეგს არ დებს, რაც შერჩევითი სამართალია.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინში

რამაზ ახვლედიანმა ლისის ტბის წართმევის საქმეზე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, ქ. თბილისის მერიისა და მამუკა ხაზარაძის ს.ს. „ლისი ლეიქ დეველოპმენტის“ წინააღმდეგ, საქართველოს უზენაესს სასამართლოში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 13 მარტის განჩინება 2018 წლის მაისში გაასაჩივრა, თუმცა ამ დრომდე, სასამართლოს საქმეზე გადაწყვეტილება არ მიუღია. თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, არ დაკმაყოფილდა ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანის სასარჩელო მოთხოვნა, ნაწილობრივ ბათილად არ იქნა ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის #713 განკარგულება რამაზ ახვლედიანისთვის 63,5 ჰა მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის გაუქმების ნაწილში, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ თბილისის საქალაქო სასამართლოსგან განსხვავებით, აღნიშნა, რომ რამაზ ახვლედიანის მოთხოვნები საფუძვლიანია, თუმცა მათ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის იურიდიული საფუძვლები მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადების არსებობა გახდა. ამ პროცეს-

ში, სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ გრძნობს სახელმწიფო ინსტიტუციები – პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. კანონის არსიდან გამომდინარე, სწორედ მათ ეკისრებათ რამაზ ახვლედიანის მიმართ დამდგარი ქონებრივი ზიანის ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტარციულ საქმეთა პალატა საქმეზე არ გამოიტანს კანონიერ გადაწყვეტილებას, საქართველოს სახელმწიფო აუცილებლად მიიღებს კიდევ ერთ საჩივარს ევროსასამართლოში.

მხოლოდ ერთი გამარჯვება

ორგანიზაციის წარმომადგენლობით, მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღდგა რამაზ ახვლედიანის კანონიერი ინტერესები. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა რამაზ ახლედიანის კომპანია „თბილისის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი – ლისის ტბის“ სააპელაციო საჩივარი, რომლის თანახმადაც, სამართლებრივი ძალისმქონედ იქნა აღიარებული ლისის ტბაზე „საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის“ ლიცენზიიდან წარმოშობილი ვალდებულებები და სამართლებრივი ურთიერთობები. შესაბამისად, სასამართლომ გააუქმა საქმეზე მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება და არ გაიზიარა საქმეში მოპასუხე: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მესამე პირების: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და სამინისტროს გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამართლებრივი პოზიციები, რომელიც ეხებოდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, კომპანიის მიმართ გაცემული ლიცენზიის სახეობის გაუქმების გამო, გაცემული ლიცენზიის სამართალ-ურთიერთობის არარსებობის მტკიცებას. სასამართლოს გადაწყვეტილება პრეცედენტული ხასიათისაა, ვინაიდან საერთო სასამართლოების სისტემაში, წინამდებარე დავა პირველი შემთხვევაა და სასამართლოს განმარტებები მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას. „ტურისტულ-გამაჯანსაღებელმა კომპლექსმა ლისის ტბამ“ 2000 წლის 27 სექტემბერს, 25 წლის ვადით, 2024 წლამდე, მიიღო საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზია. 2014 წლიდან, სახელმწიფომ შპს „ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ლისის ტბასთან“ მრავალწლიანი თანამშრომლობის პირობებში და მიუხედავად, საკამათო გახადა საკითხი, კანონმდებლობის თანახმად, იყო თუ არა მოქმედი აღნიშნული ლიცენზია და ინარჩუნებდა თუ არა იურიდიულ ძალას. გადაწყვეტილება, მოპასუხეებმა გაასაჩივრეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში და ამ ეტაპზე, კანონიერ ძალაში შესული არ არის.

თბილისი „GWP“-მაც უნდა დატოვოს

ორგანიზაციამ 2018 წელს შეისწავლა კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საქმიანობა, მოახდინა პრობლემების იდენტიფიცირება, აწარმოა კომპანიის მიმართ დავა სასამართლოში და საზოგადოებას მეტი ინფორმაცია მიაწოდა ქართულ ეკონომიკაში დასახელებული კომპანიის შესაძლო რუსულ კავშირებზე. ორგანიზაციამ საკითხზე არაერთი საჯარო განცხადება, ბრიფინგი და ღია მიმართვა მოამზადა.

„GWP“ დუმს, როცა არღვევს მომხმარებელთა უფლებებს

ორგანიზაცია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საქმიანობის შესწავლას მოითხოვს, კომპანიის ქართულ ეკონომიკაში რუსული სახელმწიფო ინტერესების დადგენაზე მიუთითებს და თბილისის მთავრობას, „C.T.Park“-ის მსგავსად, „GWP“-სთან კონტრაქტის გაწყვეტისკენ მოუწოდებს. გაჩნდა საზოგადოებრივი კითხვები, თუ რატომ არღვევს „GWP“ ყოველდღიურად მომხმარებელი ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებსა და ინტერესებს, რატომ არ ახორციელებს „GWP“ თავის საქმიანობას სემეკ-ის დადგენილებისა და კანონის მოთხოვნების შესაბამისად, რატომ ახდენს „GWP“ მესაკუთრეთა ფართებში უკანონო ვიდეო-გადაღებას, რატომ მდიდრდება „GWP“ გაღატაკებული მოსახლეობის ხარჯზე, რატომ არ ახდენს თანხმობას „GWP“ საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედ“-ს შორის 2008 წლის 14 მაისს წილის ნასყიდობის ხელშეკრულების გასაჯაროებაზე თანხმობას და რატომ არ პასუხობს „GWP“-ის მენეჯმენტი მთავარ შეკითხვას – არის თუ არა „GWP“ რუსული სახელმწიფო ინტერესები ქართულ ეკონომიკაში.

არის თუ არა „GWP“ რუსული ინტერესები ქართულ ეკონომიკაში

საზოგადოებისთვის ცნობილია, საქართველოს წყალმომარაგების სექტორში, რუსეთის მოქალაქეების მიერ დაფუძნებული კომპანიის საქართველოში გამოჩენა 2008 წლის მაისიდან, აგვისტოს ომამდე, რამდენიმე თვით ადრე იწყება. მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ და ადგილობრივმა თვითმმართველობამ, სწორედ 2008 წლის 14 მაისს „თბილისის წყალი“, „რუსთავწყალკანალი“, „მცხეთაწყალკანალი“ და „საქწყალკანალი“ მიჰყიდა ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ შპს „მალთიფლექს ენერჯი ლიმიტედს“. დღემდე გასაიდუმლოებული ხელშეკრულების წილის ნასყიდობის საფასურმა შეადგინა, მთლიანობაში 80 011 208 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. კომპანიის გენერალური დირექტორი გახდა რუსეთის მოქალაქე იური ლესი. ამასთან, ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ შპს „მალთიფლექს ენერჯი ლიმიტედის“ სამი დირექტორიდან, მიხაილ ტუზოვი და ვლადიმერ კოზინი, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან. მიხაილ ტუზოვი სხვადასხვა დროს რუსული „ინტერ რაოს“ შვილობილ კომპანიაში მუშაობდა, ხოლო „GWP“-ის წარმოების ყოფილი დირექტორი, ალექსეი ფლოროვი დირექტორის მოადგილედ საქმიანობდა შპს „როსვოდოკანალში“. დადენილია, რომ „GWP“-ის სახელწოდებით კომპანია 2009 წლიდან ოპერირებს, ხოლო კომპანიის მესაკუთრეს „მალტიფლექს ენერჯი ლიმიტედსაც“ 2009 წელს შეეცვალა სახელწოდება და გახდა „ჯორჯიან გლობალ უთილითი“.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ რუსული წარმომავლობის კომპანია „GWP – „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ 2014 წელს შეიძინა ს.ს. „საქართველოს ბანკმა“. ერთი ინფორმაციით, ბანკმა კომპანიის წილში გადაიხადა 152 მლნ ლარი, მეორე ვერსიით კი – 287 მლნ ლარი. 2015 წელს ფუძნდება საინვესტიციო კომპანია „ბიჯეო ჯგუფი“, რომელიც უკვე აერთიანებს ს.ს. „საქართველოს ბანკს“, საქართველოს ჯანდაცვის სფეროს, სამშენებლო, ღვინის კომპანიებს, საფთიაქო ქსელს და სხვა მსხვილ კორპორაციებს. „ბიჯეო ჯგუფის“ შემადგენლობაში აღმოჩნდა „GWP – „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, „მცხეთის წყალი’’, „რუსთავის წყალი’’, „საგურამოჰესი’’, „ჟინვალჰესი’’ და „ბოდორნაჰესი’’. მოგვიანებით, „ბიჯეო ჯგუფს“ ეწოდა „საქართველოს კაპიტალი“.

ორგანიზაცია, მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, მოუწოდებს „GWP – „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ თანხმობა გასცეს 2008 წლის მაისში წილის ნასყიდობის ხელშეკრულების გასაჯაროებაზე, რომ-

ლის მხარეებიც არიან – საქართველოს მთავრობა, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, ქალაქ თბილისის მთავრობა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედ“. გაურკვეველი, გაუგებარი და ვარაუდებითაა მოცული, არის თუ არა კომპანია „GWP – „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, მისი სახეცვლილი მენეჯმენტის მიუხედავად, კვლავ კავშირში რუსულ ინტერესებთან საქართველოს ეკონომიკაში. აღნიშნული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განიმარტოს და საზოგადოებისთვის ცხადი გახდეს იმის გათვალისწინებით, თუ ვინ წარმოადგენს კომპანია „GWP – „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ დღევანდელი დირექტორატის წევრებს და რა ბიოგრაფიული კავშირები იკვეთება რუსულ კომპანიებში საქმიანობაზე.

რას არღვევს „GWP“

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ უნდა შეფასდეს არაკეთილსინდისიერ კომპანიად, რომელიც არღვევს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის დადგენილებას, რომლითაც დადგენილია სასმელი წყლის მიწოდებისა და მომხარების წესები. შეუსაბამო და გაზრდილი ფინანსური დარიცხვით ხდება სასმელი წყლის ღირებულების დაანგარიშება. ირღვევა საჯარიმო აქტების შედგენის წესი. კომპანიას გადაწყვეტილებები გამოაქვს მხარეთა ადმინისტარციულ სხდომებზე მოწვევისა და დასწრების გარეშე. იურიდიული პირების დაჯარიმების შემთხვევაში კი, ადგილი აქვს საოფისე ფართებში უკანონო ვიდეო-გადაღებას, სადაც საჯარო ხასიათს იძენს პერსონალური და კომერციული ხასიათის ინფორმაცია.

„GWP“ ქართულ სასამართლოში

ორგანიზაციამ საკითხის მოკვლევის პროცესში შეისწავლა კომპანიის სასამართლო საქმეებთან დაკავშირებული ინფორმაცია. თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ კომისიიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დგინდება, რომ მხოლოდ 2017 წლის განმავლობაში, კერძოდ 2017 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, **თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტარციულ საქმეთა პალატაში, საერთო ჯამში 40-ზე მეტი საქმე იქნა წარმოებაში მიღებული, სადაც აპელანტი ან/და მოწინააღმდეგე მხარე „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერია“. მათგან, სამოქალაქო საქმეებზე, ძირითად შემთხვევებში, დავის საგანს წარმოადგენს: თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, დავალიანების ჩამოჭრა, ვალდებულების შერულება, ხოლო ადმინისტარციულ დავებზე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.** რაც შეეხება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, 2017 წლის დეკემბერში, მხოლოდ ორი – 13 და 14 დეკემბრის საჯარო სხდომებზე, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ მოქალაქეებისადმი უკანონოდ დარიცხული 2134.24 ლარის ჩამოწერის გადაწყვეტილება იქნა მიღებული. წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაციაც ცხადყოფს, რომ კომპანიის საქმიანობა, ხშირ შემთხვევებში, სცდება სამართლებრივ საზღვრებს, რაც ცალსახად იმსახურებს დროულ და ეფექტურ რეაგირებას.

ნაწილობრივ დაკმაყოფილებული საქმე

2018 წლის 9 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისა“ და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის მიმართ, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. საქმე ეხება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის 2017 წლის ნოემბერში, 518.98 ლარით უკანონოდ დაჯარიმების ფაქტს. 2018 წლის 1 თებერვლის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ქმედება უსაფუძვლოდ და უკანონოდ იქნა ცნობილი, სემეკ-ის გადაწყვეტილებით, სადავოდ დარჩა ნაწილობრივ გაუქმებული სანქციიდან – 86,50 ლარი, რაც გასაჩივრებულ იქნა სასამართლო წესით. საქმის მასალებით დადგენილია, რომ კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ კომუნიკაციისა და კორპორაციული მომსახურების დირექტორმა, ეკატერინე ბერიძემ 2017 წლის 25 დეკემბერს სემეკ-ის მიმართ გაგზავნილ ოფიციალურ წერილში გადმოსცა ყალბი, ცრუ და არაობიექტური ინფორმაცია, რითაც შეეცადა კომპანიის ინტერესების დაცვას და შეცდომაში შეიყვანა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია.

გამოსავალი

ორგანიზაცია მიმართავს ქ. თბილისის მერს და აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც დედაქალაქის განვითარების მიმართულებით ხედვები და მიდგომები მაღალ სტანდარტებთანაა დაკავშირებული, მიუღებელია ქალაქის მოსახლეობას ემსახურებოდეს და წყალმომარაგებას უზუნველყოფდეს კომპანია, რომლის საქმიანობაც მოსახლეობაში შეფასებულია არაკეთილსინდისიერი ქმედებებით. სულ მცირე კომპანიას დედაქალაქის მთავრობამ მომხმარებლებთან ურთიერთობაში, უნდა მოსთხოვოს მინიმალური სტანდარტების დაცვა, ვინაიდან კომპანიას სწორედ ადგილობრივი მთავრობის მიერ აქვს დელეგირებული საჯარო უფლებამოსილება.ამდენად, კომპანია პირდაპირ და უხეშად, სისტემატურად არღვევს მომხმარებელთა უფლებებს, რაც თავის მხრივ სათანადო ყურადღებას მოითხოვს. დღემდე საკითხზე უფლებამოსილი უწყებების მიერ ქმედითი რეაგირება არ განხორციელებულა. ვინაიდან კომპანია თბილისში, წყლის მიწოდების კუთხით, წარმოადგენს ერთადერთ კომპანიას, დაუშვებელია მისი საქმიანობა გახდეს უკონტროლო.

ბოლო 5 წელიწადში, საქართველოში განქორწინების 46,031 შემთხვევა მოხდა

ორგანიზაცია საერთო სასამართლოებში მეუღლეთა შორის განქორწინების დავებზე ინფორმაციას ავრცელებს და შექმნილ ვითარებას საგანგაშოს უწოდებს.

საერთო სასამართლოების სისტემაში, 2018 წლის მდგომარეობით, კვლავ მაღალი რჩება საოჯახო დავების რიცხვი. კერძოდ, მაღალია სასამართლოს გზით განქორწინების მოთხოვნის მაჩვენებელი, რაც დამატებით იწვევს ალიმენტის დაკისრების, შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის, შვილებთან ურთიერთობის სპეციალური წესის შემოღების მოთხოვნებს. ამასთან, მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების გაყოფის საკითხები, რაც საბოლოო ჯამში, უკიდურესად მწვავედ აისახება არასრულწლოვანი შვილების ფსიქო-სოციალურ მდგომარეობაზე და მათ სრულფასოვან განვითარებაზე. ორგანიზაციის შეფასებით, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ბოლო 5 წელიწადში, სა-

წლების მიხედვით	განქორწინება	ქორწინების ბათილად ცნობა	ალიმენტის გადახდევინება	მამობის დადგენა	მშობლის უფლების ჩამორთმევა	სხვა სახის	სულ დამთავრებული
2011	1071	10	593	62	28	723	2487
2012	1183	19	788	61	21	822	2894
2013	1099	29	801	46	19	611	2605
2014	854	17	632	47	12	476	2038
2015	820	24	542	69	18	591	2064
2016	803	35	564	57	17	655	2131
2017	578	362	362	44	10	630	2379

ქართველოში განქორწინების 46,031 შემთხვევა დაფიქსირდა. აღნიშნული მაჩვენებელი წლების მიხედვით ასე გამოიყურება: 2017 წელს – 10 222, 2016 წელს – 9539, 2015 წელს – 9112, 2014 წელს – 9119 და 2013 წელს – 8039. ამავე პერიოდის მონაცემისთვის, ქორწინების მაჩვენებელი შეადგენს – 144,161 შემთხვევას. კერძოდ, 2017 წელს – 23,684, 2016 წელს – 25,101, 2015 წელს – 29,157, 2014 წელს – 31,526 და 2013 წელს – 34,693.

ორგანიზაციამ შეისწავლა სტატისტიკური მონაცემები საერთო სასამართლოების სისტემაში საქმეთა სიმრავლით ყველაზე მსხვილი ინსტანციის – თბილისის საქალაქო სასამართლოში რეგისტრირებული საოჯახო დავებზე სარჩელების და მათი მოთხოვნების მიხედვით, რომლის შედეგებიც შემდეგნაირია:

ორგანიზაცია, თავის მხრივ წარმოებაში არსებული საქმეების ანალიზის საფუძველზე აღნიშნავს, რომ მეუღლეთა შორის განქორწინების სტატისტიკა, შესაძლებელია, გაცილებით მაღალი იყოს, რადგანაც საამისოდ არსებობს ორი გარემოება: მხარეები არ მიმართავდნენ არც სასამართლოს და არც მარეგისტრირებელ ორგანოს და თვალშისაცემია არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად, საოჯახო დავების მაჩვენებელიც. განქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისის შემდეგ იმერეთში ფიქსირდება. სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემებით, 2017 წელს თბილისში 3731 წყვილი განქორწინდა, იმერეთში – 1739. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2018 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს მასშტაბით ოჯახში დანაშაულის 746 შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან 61% – გახსნილია. ოჯახში ძალადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კვლავ თბილისშია, ხოლო 2018 წელს მარტის თვის მდგომარეობით, პოლიციის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა, 965-ს შეადგენს.

განქორწინების მზარდი მაჩვენებელი არაერთი სოციალური ფაქტორიდანაა გამოწვეული, თუმცა რაც ყველაზე თვალშისაცემია, განქორწინების მაჩვენებელი მაღალია ახალგაზრდა თაობაში. მიზეზები შეიძლება მოკლედ ჩამოვაყალიბოთ: ნაადრევი ქორწინება და პასუხისმგებლობის ნაკლებობა ოჯახის მმართვის პროცესში, თანაცხოვრების პროცესში მესამე პირების ჩარევა, ოჯახური ძალადობა, ეჭვიანობისა და ღალატის ფაქტები, პირადი შეუთავსებლობა. ორგანიზაციის წარმოებაში არსებული საქმეების მიხედვით, განქორწინების ინიციატორი, უმეტეს შემთხვევაში ქალბატონია.

„ბაღების საქმეზე“ სააპელაციო პალატა განხილვებს იწყებს

2019 წლის 28 იანვარს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, ორგანიზაციის წარმოებაში კიდევ ერთ ხმაურიან საქმეზე პირველ სხდომას გამართავს. გასაჩივრებულია ხაშურის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების – საბავშვო ბაღების გაერთიანების წინააღმდეგ ირმა გომარელის, თინათინ ლობჟანიძისა და მერი ღონღაძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. საქმე თავისი მნიშვნელობით, სასამართლოს დამოუკიდებლობისა ერთგვარი ტესტია.

სარჩელით მოთხოვნილ იქნა ჩატარებული კონკურსის შედეგების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, რომლითაც ორ მოქალაქეს პიროვნული შეუთავსებლობის გამო, ხოლო ერთ მათგანს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტატუსის გამო, უარი ეთქვა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საბავშვო ბაღში გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობების დაკავებაზე. მათ წარმატებით გადალახეს შესარჩევი კონკურსის პირველი ეტაპი და გადავიდნენ გასაუბრების ეტაპზე. თითოეული მათგანის სამუშაო გამოცდილება, მონაცემები და პროფესიული უნარ-ჩვევები სრულად აკმაყოფილებდა კონკურსის მონაცემებსა და ამავდროულად, მიუთითებდა მათ უპირატესობას ვაკანტურ ადგილებზე გამოცხადებულ კონკურსში გასამარჯვებლად, თუმცა გასაუბრება, რომელიც დებულების თანახმად უნდა დაფუძნებოდა სამართლიანობის, არადისკრიმინაციულობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს და ამავდროულად მიმართული უნდა ყოფილიყო კანდიდატების პროფესიული კვალიფიკაციისა და გამოცდილების იდენტიფიცირებისთვის, წარიმართა არაობიექტურად.

მოსამართლე თეიმურაზ ფარეიშვილის გადაწყვეტილება კრიტიკას ვერ უძლებს, თავშივე იურიდიულად დაუსაბუთებელია და არ ასახავს მოწმეთა ჩვენებებისა და მტკიცებულებათა ერთობლიობის სწორ სამართლებრივ დასკვნებს. მეტიც, სასამართლოს მოქმედება გამაოგნებელია, ვინაიდან გადაწყვეტილების გამოცხადებამდე, ხაშურის ბაღების გაერთიანებამ კონკურსის კანონის დარღვევით ჩატარება აღიარა და სარჩელი ნაწილობრივ ცნო. შესაბამისად, სასამართლოს 5 აპრილის გადაწყვეტილება საფუძვლიანს ხდის მსჯელობას იმის შესახებ, რომ მოსამართლე აღმოჩნდა მიკერძოებული და ვერ შეძლო სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვა და ადამიანის უფლებების დაცვის პატივისცემა.

კონკურსის ფარგლებში დაირღვა მოსარჩელეთა შრომითი უფლებები და ამავდროულად, წინასახელშეკრულებო შრომით ურთიერთობა-

„ბაღების საქმეზე“ სააპელაციო პალატა განხილვებს იწყებს

ში დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი. ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატები შეირჩნენ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შეუსაბამოდ, გამჭოლი ნეპოტიზმისა და პირადი ნაცნობობის საფუძველზე, რაც წარმოადგენს საკონკურსო კომისიის დებულების, საქართველოს შრომით-სამართლებრივი კანონმდებლობის, კონსტიტუციური პრინციპების პირდაპირ დარღვევასა და განაპირობებს კანონთან შეუსაბამო აქტების ბათილობის აუცილებლობას.

მოწმეთა ჩვენებებიდან გამოიკვეთა გარკვეული გარემოებები, რომლებიც უშუალოდ მიუთითებს მოსარჩელეთა მიმართ ჯანმრთელობის თუ პიროვნული შეუთავსებლობის გამო დისკრიმინაციის განხორციელების ფაქტზე, მაგალითად:

მოწმე ანნა ლაბაძე ჩვენების მიცემის დასაწყისში უარყოფს, რომ ფრაზა „ბევრი კანდიდატი ეკონომიური და ოჯახური, მდგომარეობის გამო იქნა დაწუნებული, ზოგს კი უარი ვუთხარით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო“ მის მიერ იქნა გაჟღერებული. თუმცა, მოგვიანებით კი აღნიშნავს, რომ „ეს ფრაზა არის კონტექსტიდან ამოგლეჯილი.“ მაგალითად, კანდიდატის სოციალური მდგომარეობის კომისიის წევრების მიერ მხედველობაში მიღების ფაქტს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ანნა ლაბაძე აღნიშნავს „მე ვუთხარი მას რომ შეიძლება ამ დროს ოჯახური პირობები იყოს გათვალისწინებული, მაგალითად მრავალშვილიანია..“ ასევე ანნა ლაბაძის ჩვენებიდან იკვეთება ის გარემოებაც, რომ მიუხედავად იმისა, კანდიდატი აბსოლუტურად სწორად უპასუხებდა თუ არა ყველა დასმულ შეკითხვას, ის გადაწყვეტილებას იღებდა კონკურსანტის ვიზუალიდან და მეტყველებიდან გამომდინარე. მაგალითად, ჩვენებაში ის აღნიშნავს, – „აქ არის ერთად ყველაფერი ერთად და კომპლექსურად, მანერა, ყველაფერი არის სამაგალითო ბავშვისთვის, მისი ხმის ტემბრიც, მისი ჩაცმულობაც, მისი გარეგნობაც, მისი აზროვნებაც და ქცევაც“.

მოწმე ინეზა ელისაშვილის ჩვენება ერთგვარად ამყარებს ანნა ლაბაძის მიერ გამოთქმულ პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ კანდიდატების არა მხოლოდ პროფესიულ უნარ-ჩვევებს მიექცა ყურადღება, არამედ მათ სოციალურ მდგომარეობასაც. (რაც დაუშვებელია საკონკურსო დებულებითაც კი). კომისიის წევრებს მხოლოდ კანდიდატის ვაკანტურ თანამდებობასთან პროფესიული შეთავსების საკითხი უნდა განეხილათ, თუმცა ინეზა ელისაშვილი ნინო ლაბაძის მიმართ ამბობს შემდეგ ფრაზას: „რა მაქვს ცუდი სათქმელი, არის ქვრივი, ზრდის 4 შვილს...“

მოწმეები ხათუნა ელისაშვილი და აკაკი ჯამბაზიშვილი აღნიშნავენ, რომ ავტობიოგრაფიის წარმოდგენის გარეშე კანდიდატის გასაუბრების მეორე ეტაპზე გადაყვანა დაუშვებელია, არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარდგენა არის დებულების დარღვევა, რაც კანდიდატის კონკურსის მიღმა დატოვების საფუძველი უნდა გახდეს. ასევე აკაკი ჯამბაზიშვილი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, მერი ღონღაძემ კომისიის მიერ დასმულ ყველა შეკითხვაზე სწორი პასუხი გასცა მის მიმართ დადებითი შეფასება მაინც არ ჰქონია, თუმცა სასამართლოს წინაშე ვერ ასაბუთებს რა საფუძვლიანი მიზეზი არსებობდა ამისთვის.

მედიამ აღნიშნულ საქმეს უკვე უწოდა „ბაღების საქმე“ და ორგანიზაცია გამოთქვამს იმედს, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო იქნება მიუკერძოებელი და მიიღებს საქმის მტკიცებულებების შესაბამის გადაწყვეტილებას.

სადისკუსიო შეხვედრა თბილისის მგგ-ის საკითხებზე

ორგანიზაციაამ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული საპროექტო წინადადების სამართლებრივ შეფასებაზე სადისკუსიო მაგიდა გამართა, რომელიც საკითხის სამართლებრივი და ფაქტობრივი მხარის შეფასებას შეეხო და განხილულ იქნა თბილისის მგგ-ის შექმნაზე გამოცხადებული კონკურსის გამჭვირვალობის, შესყიდვების პროცესის საჯაროობის, მომსახურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულებისა და პირობების, შემსრულებელი ორგანიზაციის დაჯარიმების, განახლებული საპროექტო წინადადების ხარისხისა და პროცესთან დაკავშირებულ გავლენიან პირთა პირადი და ბიზნეს ინტერესების საკითხები. 2018 წლის განმავლობაში, თბილისის მგგ-ის საკითხი ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტუალური საზოგადოებრივი საკითხი იყო.

ორგანიზაცია საკითხის შესწავლისა და გამოქვეყნებული კვლევის ფარგლებში მივიდა დასკვნამდე, რომ თბილისის მმგ-ს შექმნა რეალურად წარმოადგენდა გავლენიანი ბიზნეს-ჯგუფების ინტერესებს და სახელმწიფოს მიერ მომსახურების ღირებულებისთვის ასტრონომიული თანხა – 2800000-00 მილიონი ლარი არ უნდა გადაეხადა. ორგანიზაციამ ანალიზი გაუკეთა საერთო სასამართლოებიდან მიღებულ დოკუმენტაციას, რომლითაც დგინდება, რომ თბილსიის მგგ-ის განახლებული დოკუმენტი იმეორებს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის (ოპერატიული) გეგმის“ იმ დოკუმენტის პრინციპებს და შინაარსობრივ მიდგომებს, რომელიც 2009 წელს იქნა, ჯერ დაწუნებული, შემდეგ მიღებული.

ორგანიზაციის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისგან 2017 წლის 21 დეკემბერსა და 2018 წლის 15 იანვარს მიღებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მე-11 მუხლის თანახმად, შემსრულებელი ორგანიზაცია „სიტი ინსტიტუტი საქართველო“ დაჯარიმდა ა) მეორე ეტაპზე 5600 ლარით, ბ) მეოთხე ეტაპზე დაჯარიმდა ორჯერ 5600 და 140000-00 ლარით, ბ) მეექვსე ეტაპზე დაჯარიმდა ორჯერ 5600-00 და 140000-00 ლარით. ამასთან, შესწავლილი ინფორმაციის თანახმად, მომსახურების ღირებულების გადასახდელი 2800000-00 მილიონი ლარის გადახდა, ხელშეკრულების დანართი #3-ის მიხედვით, განაწილდა შემდეგნაირად – პირველ ეტაპზე – 620000-00 ლარი, მეორე ეტაპზე – 46 0000-00 ლარი, მესამე ეტაპზე – 48 0000-00 ლარი, მეოთხე ეტაპზე – 440000-00 ლარი, მეხუთე ეტაპი არ ითვალისწინებდა თანხის გადახდას, ხოლო მეექვსე ეტაპის საბოლოო მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებით, თბილისის მერიამ შესმრულებელ ორგანიზაციას, 2018 წლის 12 იანვარს, გონივრული ვადა შესთავაზა, რაც 45-დღიანი პერიოდით შემოიფარგლა და 25 თებერვლისთვის სრულდება.

სადავო ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მეოთხე ეტაპზე, როდესაც „შემსრულებელს“ დაეკისრა 140 000 ლარი ჯარიმის სახით, რაც ხელშეკრულების ღირებულების 5%-ია, დადგა ვადაზე ადრე ხელშეკრულების შეწყვეტის გარემოება. ამასთან, როდესაც ჯარიმების საერთო რაოდენობამ გადააჭარბა გარიგების ღირებულების 4%-ს (112 000 ლარს), ხელშეკრულების მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დადგა გარემოება ხელშეკრულების მოშლის, თუმცა არც მოცემულ შემთხვევას დაუთმო მერიამ ყურადღება. ამდენად, სახეზეა ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება, ვინაიდან ფაქტია, რომ „შემსრულებელი“ ორგანიზაცია 4-ჯერ იქნა დაჯარიმებული, რაც თავის მხრივ უთითებს იმ ფაქტზე, რომ ხელშეკრულების შესრულებისას გამოვლენილ იქნა მნიშვნელოვანი ნაკლი. ჯარიმები დაკისრებულია არა ვადა გადაცილების, არამედ ნაკლოვანი ნივთის წარდგენის და შემდგომ მისი ვერ გამოსწორების საფუძვლით. შესაბამისად, მოცემული გარემოებების ერთობლიობა სრულ საფუძვლებს ადგენს, რათა ვადაზე ადრე შეწყვეტილიყო ხელშეკრულება.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, 2018 წლის განვალობაში, საკითხზე არაერთი განცხადება და შეფასება წარმოადგინეს:

- 16 თებერვალს, ორგანიზაციამ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის შექმნაზე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შემსრულებელ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული 2015 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულების შეწყვეტა;
- 26 თებერვალს, ორგანიზაციამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის შექმნაზე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შემსრულებელ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული 2015 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულების შეწყვეტა;
- 27 მარტს, ორგანიზაცია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიწვევით, გენერალური გეგმის საპროექტო წინადადების საჯარო განხილვას დაესწრო და შეკითხვის უფლებით ისარგებლა. ორგანიზაციას აინტერესებს, **რა გადაუდებელი აუცილებლობით იყო განპირობებული საპროექტო მომსახურების ტენდერი გამოცხადებული, როდესაც დოკუმენტი სამი წლის შემდეგაც მიღებული არ არის, რატომ არ ახდენდა დედაქალაქის მერია ხელშეკრულების შეწყვეტას შემსრულებელ ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტ საქართველოსთან“, როდესაც ხელშეკრულების ღირებულების 5% უკვე აღემატებოდა დაჯარიმებები და სახეზე იყო წარმოდგენილი დოკუმენტის ნაკლოვანი მხარეები, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში და აპირებდა თუ არა მერია დაეყენებია საკითხი გადახდილი 2 მლნ ლარის დაბრუნებასა და გადახდილი ხარჯების მიზნობრიობის შესწავლაზე;**
- 25 მაისს, ორგანიზაციამ საჯარო განცხადება გავრცელა და საზოგადოებისთვის საჯარო გახადა ინფორმაცია ქ. თბილისის მერიასა და შემსრულებელ ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოსთან“ 2018 წლის 13 აპრილის ახალ შეთანხმებაზე, რომლითაც სახელმწიფომ განახორციელა დათმობები, შემსრულებელ ორგანიზაციას აპატია გადასახდელი ჯარიმები და სამუშაოების შესრულებისთვის, გაუხანგრძლივა ხელშეკრულების ვადები 2018 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით;
- 18 ივნისს, ორგანიზაციამ საჯარო განცხადება გავრცელა და აღნიშნა, რომ გენერალური გეგმის საპროექტო წინადადების სრულყოფილი სახით წარმოდგენაზე სახელმწიფოსა და შემსრულებელ ორგანიზაციას შორის 2018 წლის 13 აპრილს დადებული შეთანხმება ისევ სახელმწიფოს საზიანოდ დაირღვა;

დღეის მდგომარეობით, ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, როგორც ,,თანხმობის დოკუმენტი”, გადაგზავნილია თბილისის საკრებულოში, რომლის დამტკიცებას უახლოეს პერიოდში აპირებენ. დოკუმენტის არსებული ვერსია არ პასუხობს მთელ რიგ გამოწვევებს, არ არის დაცული საჯაროობის, გამჭირვალობის, კერძო საკუთრების ის მაღალი სტანდარტები, რაც კონსტიტუციით გარანტირებულია. ასეთი ფორმით, არსებული გენერალური გეგმის დამტკიცების შემდგომ გასატერებელი არის მთელი ის ღონისძიებები კვლევების სახით (ე.წ. ჩარჩო გეგმებით), რომელიც პირიქით, გენერალური გეგმის დამტკიცებამდე, უნდა მომხდარიყო. უამრავი პასუხგაუცემელი კითხვაა თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმაზე მომუშავე ააიპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიმართ, როგორც ბიუჯეტიდან მიღებული თანხის მიზნობრივად გამოყენებაზე, ასევე დოკუმენტის პროფესიულ დონეზე შესრულებაზე.

„მეტალინვესტი“ – კიდევ ერთი გაკოტრებული ბიზნესის საქმე, სამართლიანობა გავლენების წინააღმდეგ

ორგანიზაციამ 2018 წლის ივლისში, კიდევ ერთი მსხვილი ქართული ბიზნეს-კომპანია „მეტალინვესტის“ გაკოტრების საქმეზე მოკვლევის შედეგები გამოაქვეყნდა და აღნიშნა, რომ ბიზნესის მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის საკითხზე, საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებები ეფექტიანი არ არის და კომპანიის დაზარალებულად ცნობის წინაპირობების მიუხედავად, არ ხდებოდა საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიმართ სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია.

ორგანიზაციამ მთავარ პროკურატურას განცხადებით მიმართა და მოითხოვა, დაჩაქრდეს შპს „მეტალინვესტისა“ და მისი დირექტორის, მურთაზ უგულავას მიერ წარმოდგენილი განცხადებების, მასზედ თანდართული მტკიცებულებებისა და მასალების დროული შესწავლა, კომპანია საგამოძიებო უწყების მხრიდან დაზარალებულად იქნეს ცნობილი. ორგანიზაციამ საქმის მასალების შესწავლის შედეგად ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკი“ „მეტალინვესტის“ გაკოტრების საქმეში მთავარი ფიგურანტია. დადგენილია, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკსა“ და შპს „მეტალინვესტს“ შორის 2010 წლის 7 აპრილს დაიდო წინარე და ნასყიდობის ხელშეკრულებები, თუმცა კომპანიის მაშინდელი დირექტორი უფლებამოსილი არ იყო მოეხდინა კომპანიის უძრავი ქონებების გასხვისება. ამის შესაძლებლობას კომპანიის მაშინდელ დირექტორს არ აძლევდა სპეციალური შეზღუდვა. კერძოდ, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებით, მაშინდელ დირექტორს საზოგადოების წესდების ჩანაწერის თანახმად, გააჩნდა ხელმძღვანელობაზე შეზღუდული უფლებამოისლება და ქონებების გასხვისება აკრძალული ჰქონდა. ამის მიუხედავად, ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ კომპანიის ქონების საკუთრებაში რეგისტრაცია მაინც განხორციელდა, თუმცა მოგვიანებით, 2012 წლის ივნისში.

ორგანიზაციის შეფასებით, „მეტალინვესტის“ საქმეში, სავარაუდო დანაშაულის ნიშნები მდგომარეობს იმაში, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ შესაბამისმა თანამდებობის პირებმა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარუდგინეს უთარიღო, სანოტარო წესით დაუმოწმებელი კომპანიის ე.წ. „წესდება“, სადაც შეცვლილი იქნა ქონების გასხვისების შეზღუდვის შესახებ მანამდე არსებული ჩანაწერის რედაქცია ისეთი ფორმით, რომ მისი ხელმძღვანელისგან, თითქოსდა საზოგადოების ქონების გასხვისება

არ იზღუდებოდა. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ს.ს. „საქართველოს ბანკს“ დაუმტკიცა სადავო ქონებები, ხოლო მოგვიანებით, კომპანიის მიმართვის გარეშე, თვითნებურად გააუქმა წესდებით განსაზღვრული შეზღუდვები. დღემდე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტო არ ახდენს კომპანიის არაიურიდიული ძალის მქონე წესდების მონაცემთა ბაზიდან ამოღებას, რაც ცალკე შეშფოთების საგანია.

ორგანიზაციის შეფასებით, წლების მანძილზე, კომპანიის დირექტორის არაერთი მიმართვის მიუხედავად, „მეტალინვესტი“ არც დაზარალებულადაა ცნობილი და არც საგამოძიებო მოქმედებების შესახებაა ცნობილი. აღნიშნული აჩენს ლეგიტიმურ ეჭვებს ს.ს. „საქართველოს ბანკის“, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ლოიალური დამოკიდებულების ნიშნებზე, რაც მიუთითებს შერჩევითი სამართლის განხორციელების სახიფათო ტენდენციებზე. სსიპ ლევან სამსახრაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 19 ივნისის დასკვნის მიხედვით, ვინაიდან შპს „მეტალინვესტს“ არ გააჩნდა დაფინანსების წყარო,ხოლო მისი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი სრულად მიემართებოდა სასესხო ვალდებულებების დასაფარად, კომპანია ვეღარ ღებულობდა მოგებას, კომპანიამ 2009 წლიდან 2012 წლის ჩათვლით პერიოდში, მისი სრული დატვირთვით მუშაობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო მიეღო საორიენტაციოდ 4 935 468,92 (4*1233867,23) ლარის მოგება. გამოძიების გაჭიანურებაც, შესაძლებელია, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიმართ, ასევე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ კომპანიის სამომავლოდ წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის არიდება იყოს და საგამოძიებო ორგანომ ხანდაზმულობის ვადების გასვლის შემდეგ, საქმეზე სამართალწარმოება შეწყვიტოს.

„მეტალინვესტი“ დაფუძნდა 2006 წელს და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა სამშენებლო არმატურით და სხვა სამშენებლო მასალებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა. დადგენილია, რომ 2008 წლის სექტემბერში, სს „საქართველოს ბანკმა“ სესხებზე შპს „მეტალინვესტს“ საპროცენტო წლიური სარგებელი 14%-დან 18%-მდე გაუზარდა. 2009 წელს, ბანკმა უარი განაცხადა კომპანიის დაფინანსებაზე და სესხის დაფარვის მიზნით გადავიდა კომპანიის საბრუნავი საშუალებების რეალიზაციაზე, რამაც მისი ფაქტობრივი გაკოტრება გამოიწვია. აღნიშნულს ხელი შეუწყო ს.ს. „საქართველოს ბანკის“ გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვითაც, შპს „,მეტალინვესტში“ დაინიშნა დროებითი ზედამხედველი კონტროლიორის სახით. შედეგების გათვალისწინებით, ბანკმა კომპანიისა და მისი დირექტორის სახელზე რიცხული, იპოთეკით უზრუნველყოფილი მრავალი მილიონის უძრავი ქონება დაისაკუთრა.

საქართველოში „სინოჰიდროს“ საქმიანობა - დარღვევები, ფარული შეთანხმებები, დაზარალებული სახელმწიფო და მესაკუთრეები

ორგანიზაციამ 2018 წლის ოქტომბერში, საქართველოს ინფრასტრუქტურულ პროექტებში ჩინური სახელმწიფო კომპანია „სინოჰიდროს“ საქმიანობის შესახებ კვლევის შედეგები და სარეკომენდაციო წინადადებები გამოაქვეყნა, ხოლო გამოვლენილ დარღვევებზე, სავარაუდო კორუფციულ ფაქტებსა და შესრულებული სამუშაოების ხარისხზე სახელმწიფოს შესაბამისი უწყებებისგან რეაგირებას მოითხოვა.

ორგანიზაციამ შეისწავლა „სინოჰიდროს“ მონაწილეობა 2017 (ხელშეკრულების ღირებულება: 133,530,690.63 ლარი), 2015 (ხელშეკრულების ღირებულება: 253,979,678.24 ლარი) და 2012 წლებში (ხელშეკრულების ღირებულება: 209,852,079.67 ლარი), მოგებულ სამ ტენდერში, რომლებიც ეხებოდა ქობულეთის შემოვლითი გზის, სამტრედია-გრიგოლეთის გზისა და ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის ავტომაგისტრალის მშენებლობის პროცესს. ორგანიზაციამ ყურადღება დაუთმო ტენდერების გამჭვირვალობას, დასაქმებულთა შრომით უფლებებს, გარემოზე ზემოქმედების საკითხებს, კომპანიის საერთაშორისო საქმიანობას.

კვლევამ აჩვენა, რომ ახალი პროექტით გზების მშენებლობა რამდენიმე მილიონი ლარით ნაკლები ჯდება, თუმცა მშენებლობის დაწყებიდან დღემდე, ყველა ოფიციალურ წყაროში, არსად არის ნახსენები თანხების დაზოგვის შესახებ და ყველა ოფიციალური პირი მიუთითებს და საუბრობს მხოლოდ სატენდერო ღირებულებაზე. უცნობი რჩება ქობულეთისა და ბათუმის შემოვლითი გზების, სამტრედია-გრიგოლეთის ყველა ლოტის ფინანსური ხარჯვის მაჩვენებლები და ტრანზაქციების ადრესატი ბანკები და კომპანიები. შესაძლოა იკვეთებოდეს ტენდერებში მონაწილე კომპანიის არაკეთილსინდისიერი ქმედებები, რაც გამოიხატება გამოცხადებულ სატენდერო კონკურსებში გამარჯვების მიზნით, პროექტის სრულყოფილად განხორციელებისთვის საჭირო რეალურ თანხაზე გაცილებით ნაკლების შეთავაზებით. შედეგად, ტენდერის ძირითადი პრინციპიდან გამომდინარე, იოლი გამარჯვებით, ხოლო შემდგომ პროექტისთვის აუცილებელი საკმარისი ფინანსური სახსრების არ არსებობის გამო, მისი მნიშვნელოვანი ხარვეზებით განხორციელებით.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში განხორციელებული საკადრო გადადგილებები მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს ტენდერებში გამარჯვებული კომპანიებისა და სატენდერო კომისიის წინასწარ დაინტერესებაზე. ამასთან, არსებული ვითარება კითხვებს აჩენს, თუ რამდენად იქნა სამართლიანი კონკურენცია დაცული და ეს შესაძლო კორუფციული გარიგებების რისკებს, კიდევ უფრო მეტად აღრმავებს. ორგანიზაციამ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ სახელმწიფო ტენდერების შესწავლისა და შეფასების პროცესში დაადგინა, რომ დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირები სამუშაოდ სწორედ იმ უცხოურ სამშენებლო კომპანიებში გადავიდნენ, რომლებმაც გამოცხადებული ტენდერები მოიგეს და სატენდერო კომისიის წევრები დღეს ამ კომპანიაში დასაქმებული დეპარტამენტის ყოფილი თანამდებობის პირები არიან.

კვლევამ გამოკვეთა, რომ კომპანია „სინოჰიდრო“ სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზას სავალდებულო ნებართვებისა და ექსპერტიზის დასკვნის გარეშე, უკანონოდ აშენებდა.

გარემოზე მიყენებულმა ზიანმა კოლოსალური თანხა – 233,241.06 ლარი შეადგინა. აღნიშნულ საქმეებზე საგამოძიებო მოქმედებებს, ახლაც საქართველოს მთავარი პროკურატურა და მისი რეგიონული სტრუქტურული ერთეულები აწარმოებენ. ორგანიზაციამ შეისწავლა კომპანიის მიმართ დაკისრებული სახდელის ფინანსური მოცულობაც, რამაც, 2013 წლის 6 ივნისიდან 2017 წლის 6 ნოემბრის მდგომარეობით, 46 სამართალდარღვევის ფაქტზე, 62,686,98 ლარი შეადგინა.

კვლევამ დაადგინა, რომ „სინოჰიდროს“ საქმიანობას დასაქმებული მოქალაქეების ჯანმრთელობის, სიცოცხლის უსაფრთხოების დაცვასთან გააჩნია სისტემური პრობლემები და კონფლიქტში მოდის შრომის უსაფრთხოების პრინციპებთან. არასრულფასოვნადაა დანერგილი შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა.

კვლევამ შეისწავლა „სინოჰიდროს“ საქმიანობა ყირგიზეთში, სომხეთში, მალაიზიაში, ბოცვანაში, უგანდასა და ზიმბაბვეში. საქართველო არ არის პირველი ქვეყანა, სადაც კომპანიას აქვს პრობლემები, ეროვნულ მთავრობებს აქვს სამართლებრივი პრეტენზია და კომპანია დადანაშაულებულია ვალდებულებების არაკეთილსინდისიერ შესრულებასა და სავარაუდო კორუფციულ გარიგებებში. მალაიზიის ქალაქ სარავაკში კომპანიის მიერ აშენებული „Bakun“-ის ჯებირს Transparency International და International Rivers–ის აღწერით, „კორუფციის მონუმენტსაც“ უწოდებენ.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ წინადადება კანონად იქცევა

საქართველოს ბიზნესომბუდსმენი „სასამართლო მეგობრის“ ფუნქციით საერთო სასამართლოებში შემოდის

2018 წლის მარტში, ორგანიზაციამ წარმოადგინა პროფესიული დასკვნა და რეკომენდაციები „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ კანონში ცვლილებების განხორციელების მხარდაჭერის შესახებ, რომლითაც ბიზნესომბუდსმენს უნდა მიეცეს შესაძლებლობა სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) უფლებამოისლებით ისარგებლოს საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ბიზნეს-დავების პროცესში და არამხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის გზით. აღნიშნული საკანონმდებლო წინადადება უკვე დარეგისტრირდა საქართველოს პარლამენტში და ორგანიზაცია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის პროცესსა და საზოგადოებრივ ლობირებაში.

ორგანიზაციას მიაჩნია, რომ საქართველოს ბიზნესომბუდსმენის ეფექტური, მდგრადი და აღსრულებადი გადაწყვეტილებებისთვის, მნიშვნელოვანია სტრუქტურის უფლებამოისლების საკანონმდებლო დონეზე გაზრდაზე და ინსტიტუციას გაუჩნდეს საკმარისი ბერკეტი აქტიური მონაწილეობა მიიღოს ბიზნეს-დავების პროცესში. ორგანიზაცია, ამ თვალსაზრისით, ყურადღებას დაუთმობს „სასამართლო მეგობრის“ (Amicus Curiae) ინსტიტუტის გამოყენებას და საქართველოს ბიზნესომბუდსმენის უფლებამოსილების გაფართოებას, რაც გაზრდის შესაძლებლობას, ერთის მხრივ სასამართლოებმა მიიღონ დასაბუთებული, კვალიფიციური და კანონიერი გადაწყვეტილებები, მეორე მხრივ ამაღლდეს ნდობა ბიზნესთან დიალოგში, წარმოებული დავები დასრულდეს მორიგებით, ბიზნესომბუდსმენის პოზიტიური რეკომენდაციების საფუძველზე, გაჩნდეს ეფექტური მედიაციის შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიმდინარე რეფორმის პირობებში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიაში შეიქმნა კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაცია, საქმეთა განხილვა კვლავ გაჭიანურებულია და მიღებულ გადაწყვეტილებებს გააჩნია სამართლებრივი დასაბუთების პრეტენზია, ასეთ მნიშვნელოვან პროცესში კი არ უნდა გამოირიცხოს საქართველოს ბიზნესომბუდსმენის კვალიფიციური სამართლებრივი დასკვნები, რომლებიც ინდივიდუალურ მოსამართლეს საშუალებას მისცემს, ნორმათა შეფარდების დროს, იყოს ყოველმხრივ უზრუნველყოფილი და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

„საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, **„პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას ბიზნესომბუდსმენი ახორციელებს: ა) ინდივიდუალურ და ერთობლივ განცხადებებზე რეაგირებით, ბ) საქართველოს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში ხარვეზების გამოვლენით გ) საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანო-**

ბის განხორციელებით“. ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, **„ბიზნესომბუდსმენი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია“.**

ორგანიზაციას მიაჩნია, რომ „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით. კერძოდ, ბიზნესომბუდსმენი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, „ცალკეულ შემთხვევებში, საქართველოს საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია“.

სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი (amicus curiae) საქართველოში პირველად 2009 წლის 22 ოქტომბრის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დამკვიდრდა, რომლებიც „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონს შეეხო. ამ ინსტიტუტმა საშუალება მისცა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომ დავის ფარგლებში წარმოადგინონ საკითხთან დაკავშირებული დასაბუთებული მოსაზრებები, რომლის გათვალისწინებაც სასამართლოსთვის სავალდებულო არაა, თუმცა, მან შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების განმარტებაზე. სასამართლოს მეგობრის ფუნქციით სარგებლობა პირებს არამხოლოდ საკონსტიტუციო სამართალწარმოების, არამედ სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის პროცესშიც შეუძლიათ. საკანონმდებლო ცვლილებები 2010 წელს შეეხო სისხლის სამართლის, ხოლო 2015 წელს ადმინისტრაციული სამართლის პროცესს. უნდა ითქვას, რომ რიგ შემთხვევებში, სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტს მნიშნელოვანი გავლენა მოუხდენია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დავის გადაწყვეტის პროცესში, რის მაგალითადაც გამოდგება ქეისი სახელწოდებით: „SOERING v. THE UNITED KINGDOM“.

ბიზნესომბუდსმენის (ზოგგან ფინანსური ომბუდსმენი) ინსტიტუტის საშუალებით მომხმარებელსა და ბიზნესს შორის ურთიერთობების რეგულირება, მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში კარგად აპრობირებული მეთოდია. მაგალითისთვის, ფინანსური ომბუდსმენი დიდ ბრიტანეთში 2000 წლიდან საქმიანობს და ასრულებს შუამავლის ფუნქციებს მოქალაქეებსა და ბიზნესის ისეთ სექტორებს შორის, როგორებიცაა ბანკები, სამშენებლო და სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო ჯგუფები, საფინანსო კომპანიები და სხვ.

ქართულ რეალობაში, ბიზნესის მიმართ, რომ ინსტიტუციების ლობირებაა საჭირო, ამას არსებული ეკონომიკური მდგომარეობაც ადასტურებს. მიუხედავად იმისა, რომ ერთ მოსახლეზე არსებული შიდა პროდუქტის (GDP per capita) მოცულობა ქვეყანაში სულ რაღაც 10,000 აშშ დოლარია, საქართველომ მაინც შეძლო და 2017 წელს მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში, მსოფლიოს მასშტაბით, ერთ–ერთი მოწინავე, მე–8 პოზიცია დაიკავა, რაც ევროპაში მე–4 პოზიციას ნიშნავს და რეგიონის უპრეცედენტო სტატისტიკას წარმოადგენს. აღნიშნული კვლევა, 2017 წლის სექტემბერში, კანადაში არსებულმა ორგანიზაციამ – *ფრეიზერის კვლევის ინსტიტუტმა* მოამზადა. კვლევის მიხედვით, საქართველო რეგულაციებისა და ტარიფის ნაწილში, საკმაოდ მოქნილი და თავისუფალი ქვეყნების სიაში შევიდა, თუმცა, უმთავრეს პრობლემას მკვლევარების აზრით, წარმოადგენს საკუთრების დაცვის სტანდარტი და სასამართლო დავების გაჭიანურების ფაქტები.

უნდა ითქვას, რომ ბიზნეს-დავებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შემთხვევები, საკონსტიტუციო სასამართლოში შედარებით ნაკლებია, რადგან, ეს სპეციალიზებული სასამართლო, სარჩელების აბსოლუტურ უმრავლესობას განიხილავს საქართველოს კონსტიტუციის მე–2, ადამიანის უფლებების თავთან მიმართებით. შესაბამისად, უკვე არსებული რეგულაციის შემთხვევაში, ბიზნესომბუდსმენის უწყება საკმარისად ეფექტური კომპეტენციიდან გამომდინარე ვერ იქნება. იმის გამო, რომ იურიდიული პირებს, საკუთარი ქონებრივი დავების ფარგლებში ძირითადად სწორედ საერთო სასამართლოებში უწევთ დავა, აპარატს აუცილებლად უნდა შეეძლოს გახდეს ერთგვარი მედიატორი დავის მხარეებს შორის სასამართლოს პროცესის მიმდინარეობისას და დაინტერესების შემთხვევაში ჩაერთოს წარმოების პროცესში, სასამართლოს მიმართ აზრის დაფიქსირების საყოველთაოდ აღიარებული სასამართლოს მეგობრის (amicus curiae) ინსტიტუტის ფარგლებში.

სტუდენტები საშემოსავლო გადასახადისგან უნდა გათავისუფლდნენ

საკანონმდებლო წინადადების არსი

2018 წლის 28 მარტს, ორგანიზაციამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება, რომლის მიზანს სტუდენტების საშემოსავლო გადასახადიდან გათავისუფლება წარმოადგენს. ცვლილება უნდა განხორციელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსში. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლს, რომელშიც დაზუსტებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებულ ფიზიკურ პირთა სახეები, მეორე ნაწილს უნდა დაემატოს „დ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით: „დ) აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, არაუმეტეს 25 წლისა, რომლის შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს“.

მთავარი მოტივაცია

შემოთავაზებული ცვლილება, არსებული ვითარების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რაც თავის მხრივ დასაქმებული სტუდენტებისთვის შექმნის შეღავათიან ფინანსურ გარემოს, ხოლო დაუსაქმებელი სტუდენტებისთვის გახდება დამატებითი მოტივაცია. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სტუდენტთა უმრავლესობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის პარალელურად დასაქმებულია, ძირითადად კერძო სექტორში, სხვადასხვა პოზიციებზე, სწორედ სწავლის საფასურის გადასახდელად საჭირო თანხის უზრუნველყოფისთვის. საკანონმდებლო წინადადების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კანონპროექტის სამიზნე ჯგუფს და მათ სოციალურ მდგომარეობას. საქართველოში მოქმედ 67 აკრედიტირებულ უმაღლეს დაწესებულებაში სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა რეკორდულად მაღალია და საერთო ჯამში, 48 651 სტუდენტს შეადგენს. განსაკუთრებით საყურადღებოა საკითხი იმის შესახებ, რომ დასახელებული მაჩვენებელი მუდმივად მზარდია. 2013 წლის მდგომარეობით, ქვეყანაში სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა 28 055 შეადგენდა, 2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 33 575-მდე გაიზარდა, 2016 წელს 35 841 შეადგინა, 2017 წლის მონაცემებით კი – 38 104. დასახელებულ პერიოდში შეინიშნებოდა რაოდენობის საშუალოდ 2000-დან 5000-მდე ზრდის ტენდენცია, ხოლო 2018 წლის მონაცემთან მიმართებით, ფიქსირდება რაოდენობის 10 547-ით ზრდა, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში, ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში საკმაოდ მცირე ანაზღაურებაა, დაქვითული 20% საკმაოდ მაღალია, ვინაიდან იმ შემთხვევაში თუკი სტუდენტის შემოსავალი თვეში 300 ლარია წლიური დაქვითვა შეადგენს 720 ლარს, რაც სწავლის გადასახადის ¼-ზე მეტიცაა.

უცხოური გამოცდილება

ორგანიზაციამ 2017 წლის აგვისტოს მდგომარეობით რეკომენდაციისა და შემდგომი შეფასებისთვის მიმართა გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის საგანმანათლებლო უწყებებს. მათ მიერ მოწოდებული იფორმაციის შედეგად დგინდება, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედებს დაბეგვრის სპეციალური სისტემა, რომლის მიხედვითაც

შემოსავლის დაბეგვრა იწყება იმ შემთხვევაში, თუ პირის შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 8 820 ევროს, რაც გულისხმობს იმას, რომ დასაქმებულ სტუდენტთა უდიდესი ნაწილი ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. გარდა ამისა, გერმანიაში სტუდენტთა მიმართ მოქმედებს შეღავათიანი დაბეგვრის სისტემა, განათლების უფლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, სტუდენტთა შემოსავლებიდან არ იბეგრება ის თანხები, რომლებიც მიმართულია განათლების უფლების სრულყოფილი რეალიზებისკენ. რაც შეეხება დიდი ბრიტანეთის საკითხს, ამ შემთხვევაშიც მოქმედებს შეღავათიანი ფინანსური პოლიტიკა, რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტთა შემოსავლები იბეგრება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათი ყოველთვიური შემოსავალი საშუალოდ 958 ევროზე მეტია. ამასთან, ორივე ქვეყნის საგანმანათლებლო უწყება იწონებს „ახალგაზრდა ადვოკატების“ საკანონმდებლო წინადადებას და გამოთქვამს მზაობას, დასახელებული მიმართულებით პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების კუთხით თანამშრომლობაზე.

საჯარო განხილვები

ორგანიზაციამ საკანონმდებლო წინადადების ლობირების მიმართულებით, წინადადების განხილვები დაიწყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებთან შეხვედრების გზით. ამასთან, კონსულტაციები უზრუნველყო აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან. ორგანიზაცია მიმართავს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საკანონმდებლო წინადადების განხილვამდე, მთავრობის, სამინისტროს, პარლამენტისა და ავტორი ორგანიზაციის წარმომადგენლების მონაწილეობით, სამუშაო შეხვედრის ორგანიზებას მოითხოვს, სადაც მოხდება საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით არსებული რისკების იდენტიფიცირება.

საპარლამენტო განხილვები

2018 წლის 12 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა საკანონმდებლო წინადადებას მხარი დაუჭირა. წინადადების დადებით მხარეებზე ისაუბრა კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაშმა. დღეის მდგომარეობით, შემდგომი განხილვისთვის, წინადადები გადაგზავნილია საქართველოს პარალმენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში, რომელიც საკითხზე წამყვანი კომიტეტია.

ფინანსთა სამინისტროს პოზიცია

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2018 წლის 1 ოქტომბრის წერილში, რომელიც ორგანიზაციამ საქართველოს მთავრობიდან მიიღო, აღნიშნულია შემდეგი: „აღნიშნული საგადასახადო შეღავათის შემოღების შემთხვევაში, დამქირავებელ მენარმეს (საგადასახადო აგენტს) ეძლევა შესაძლებლობა შეიმციროს სახელფასო ხარჯი, იმგვარად, რომ დაქირავებულ სტუდენტს ხელფასი არ გაუზარდოს, რის გამოც შესაძლებელია ამ შეღავათით ფაქტობრივად ვერ ისარგებლონ იმ პირებმა, ვისთვისაც ის არის დაწესებული. არასწორია შეღავათის დაწესება ასაკობრივი ნიშნით და ბუნდოვანია საგადასახადო ადმინისტრირების განხორციელების მექანიზმები. კანონპროექტის მიღება შეამცირებს საგადასახადო შემოსავლებს, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტებზე „საქართველოს საგადასახადო კოდექსით“ უკვე დაწესებულია გარკვეული შეღავათები, კერძოდ სტიპენდია გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან, მიზანშეწონილად არ მიგვაჩ-

ნია განსახილველი პროექტით წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელება“ – ნათქვამია სამინისტროს წერილში, რომელსაც ხელს იურიდიული დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, გიორგი თინიკაშვილი აწერს.

პოზიცია ფინანსთა სამინისტროს პოზიციზე

2018 წლის 14 ნოემბერს, ორგანიზაციამ საჯარო განცხადება გაავრცელა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საკანონმდებლო წინადადების შეფასების გამო, რომელშიც მკვეთრად აღინიშნა, რომ ფინანსთა სამინისტროს პოზიცია არ პასუხობს მთავრობის პოლიტიკას და არ იმსახურებდა სტუდენტების მხარდაჭერას. საკანონმდებლო წინადადების მიმართ, სამინისტროს პოზიციას აქვს ალტერნატიული აზრი და საკითხი უნდა გადაწყდეს ინსტიტუციური თვალსაზრისით. სამინისტროს, რომელიც ახორციელებს გადასახედების ადმინისტრირებას, შესაძლებლობა აქვს, პირს, რომელიც დაკმაყოფილებს საკანონმდებლო წინადადებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, წლის განმავლობაში, დაუქვითოს საშემოსავლო გადასახადი, ხოლო წლის ბოლოს, მას განცხადების საფუძველზე დაუბრუნდეს საშემოსავლო გადასახადის სახით დაქვითული თანხა. აღნიშნული ფინანსური მოდელი საქართველოს საგადასახადო სისტემისათვის არ არის უცნობი და ამ ფორმით, ადმინისტრირების შემთხვევაში, საკანონმდებლო წინადადების სამიზნე ჯგუფთან დაკავშირებული რისკი სრულად იქნება აღმოფხვრილი. სტიპენდიის გათავისუფლება საშემოსავლო გადასახადისაგან არ არის ორგანიზაციის მიერ პარლამენტისათვის შეთავაზებული საკანონმდებლო წინადადებით გათვალისწინებული შეღავათების საპირწონე, ვინაიდან სტიპენდიას იღებს სტუდენტთა განსაზღვრული რაოდენობა, ხოლო საკანონმდებლო წინადადება გაზიარებისა და მხარდაჭერის შემთხვევაში, საშეღავათო პირობა შეეხება ყველა სტუდენტს, რომელიც დაკმაყოფილებს შეთავაზებული ცვლილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ სწორედ ასაკობრივი ნიშნით შეღავათის დაწესება წარმოადგენს კანონპროექტის მნიშვნელოვან ღირსებას, ვინაიდან თავიდან იქნეს არიდებული შეღავათით ბოროტად სარგებლობა. რაც შეეხება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენას, საქართველო, როგორც ევროკავშირთან ასოცირებული ქვეყანა, ამ თვალსაზრისით ევროპული ქვეყნების პრაქტიკას უნდა ამკვიდრებდნეს, სადაც მსგავსი მოდელი წარმატებით, უფრო მეტი სიკეთისა და უფლების სასარგებლოდ გადაწყდა. შესაბამისად, სახელმწიფომ სხვა ფუფუნების საგნებზე უნდა თქვას უარი და არა წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადების განხორციელებით მიუთითოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის დანაკარგებზე.

რეზიუმე

ორგანიზაციის მხრიდან საკანონმდებლო წინადადებაზე მუშაობა განხორციელდა ორგანიზაციის სამართლის ჯგუფის მონაწილეობით (არჩილ კაიკაციშვილი, მარიამ ფირცხალაიშვილი, რუსლან ალექსიძე, გიორგი ზოიძე, ია გოგნაძე, გიორგი ლაბაძე) და არ გახლდათ შეზღუდული რომელიმე დონორი ორგანიზაციის განსაკუთრებული მოთხოვნით. სამუშაო ჯგუფის წევრობა არ ყოფილა ანაზღაურებადი. ამიტომაც, ორგანიზაციამ წარმოდგენილ დოკუმენტში, სრულად გაითვალისწინა საკანონმდებლო წინადადების ფორმირებაში მონაწილე სამუშაო ჯგუფის ყველა წევრის პოზიცია. აღნიშნული „ახალგაზრდა ადვოკატების“ მეხუთე საკანონმდებლო წინადადებაა, რომელსაც საქართველოს პარლამენტი განიხილავს.



„ნდობის რეიტინგი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ“

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ „ნდობის რეიტინგი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ“ სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები 2018 წლის 19 ოქტომბერს გამოაქვეყნა.

რესპოდენტების მიმართ დასმულ 5 შეკითხვაზე – „აპირებთ თუ არა მონაწილეობა მიიღოთ 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში“, „გთხოვთ, დაასახელოთ პრეზიდენტობის რეგისტრირებული ერთი კანდიდატი, რომელიც იმსახურებს თქვენს ნდობას“, „რა განაპირობებს კანდიდატის მიმართ თქვენს ნდობას: ა) კანდიდატის გამოცდილება და შეხედულებები, ბ) კანდიდატის საარჩევნო პროგრამა, გ) კანდიდატის პარტიულობა დ) კანდიდატის არაპარტიულობა“, „ეთანხმებით თუ არა პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევას 2024 წლიდან?“ და „როგორ შეაფასებდით მოქმედი პრეზიდენტის საქმიანობას?“, შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

აპირებთ თუ არა მონაწილეობა მიიღოთ 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში?

82% – აპირებს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას (492 რესპოდენტი)

11.5% – არ აპირებს მონაწილეობის მიღებას (69 რესპოდენტი)

6.5% – ჯერ არ გადაუწყვეტია (39 რესპოდენტი)

გთხოვთ დაასახელოთ პრეზიდენტობის რეგისტრირებული ერთი კანდიდატი, რომელიც იმსახურებს თქვენს ნდობას: (რესპოდენტს უნდა დაესახელებინა პრეზიდენტობის კანდიდატის სახელი და გვარი)

27% – არც ერთი (162 რესპოდენტი)

20.2% – არ აქვს გადაწყვეტილი (121 რესპოდენტი)

18.8% – სალომე ზურაბიშვილი (113 რესპოდენტი)

18.2% – გრიგოლ ვაშაძე (109 რესპოდენტი)

5.5% – ზურაბ ჯაფარიძე (33 რესპოდენტი)

4% – დავით ბაქრაძე (24 რესპოდენტი)

1.8% – დავით უსუფაშვილი (11 რესპოდენტი)

1.5% – კახა კუკავა (9 რესპოდენტი)

1.5% – შალვა ნათელაშვილი (9 რესპოდენტი)

1.5% – გიორგი ანდრიაძე (9 რესპოდენტი)

რა განაპირობებს კანდიდატის მიმართ თქვენს ნდობას?

65.5% – კანდიდატის გამოცდილება და შეხედულებები (393 რესპოდენტი)

11% – კანდიდატის საარჩევნო პროგრამა (66 რესპოდენტი)

6% – კანდიდატის პარტიულობა (36 რესპოდენტი)

4% – კანდიდატის არაპარტიულობა (24 რესპოდენტი)

2% – კანდიდატის გამოცდილება და შეხედულე-

ბები, კანდიდატის საარჩევნო პროგრამა, კანდიდატის პარტიულობა (12 რესპოდენტი)

3.5% – კანდიდატის გამოცდილება და შეხედულებები, კანდიდატის საარჩევნო პროგრამა (21 რესპოდენტი)

0.5% – კანდიდატის გამოცდილება და შეხედულებები, კანდიდატის პარტიულობა (3 რესპოდენტი)

შეკითხვას არ უპასუხა 27-მა რესპოდენტმა, რაც გამოკითხულთა 4.5%-ს შეადგენს.

გამოკითხულებმა აგრეთვე დაასახელეს სხვა განმაპირობებელი ფაქტორები (პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა, ადამიანობა, სამართლიანობა, ეროვნულობა) (18 რესპოდენტი – გამოკითხულთა 3%)

ეთანხმებით თუ არა პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევას 2024 წლიდან?

18% – ეთანხმება (108 რესპოდენტი)

71.5% – არ ეთანხმება (429 რესპოდენტი)

10.5% – არ აქვს პოზიცია (63 რესპოდენტი)

როგორ შეაფასებდით მოქმედი პრეზიდენტის საქმიანობას?

25.5% – უფრო დადებითად შეაფასა ვიდრე უარყოფითად (153 რესპოდენტი)

12% – უფრო უარყოფითად შეაფასა ვიდრე დადებითად (72 რესპოდენტი)

17% – დადებითად შეაფასა (102 რესპოდენტი)

21.5 – უარყოფითად შეაფასა (129 რესპოდენტი)

24% – თავი შეიკავა (144 რესპოდენტი)

ორგანიზაციამ სოციოლოგიური გამოკითხვა ქ. თბილისში, 2018 წლის 12 ოქტომბერს, დამოუკიდებელი ინიციატივის ფარგლებში ჩაატარა. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, 600 მოქალაქე მარჯანიშვილის მოედანზე, რუსთაველის გამზირსა და თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოიკითხა. გამოკითხვის მიზანს დედაქალაქის მოსახლეობის რეალური განწყობებისა და საპრეზიდენტო არჩევნების პროცესში, მათი მოლოდინების დადგენა წარმოადგენდა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, წინამდებარე გამოკითხვის ფარგლებში, შეეცადა არამხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატების ნდობის დადგენას, არჩევნებში მოანწილეობის საკითხის გარკვევას და არჩევანის განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენას, არამედ შეაფასა, თუ რა დამოკიდებულება გააჩნდა მოქალაქეებს პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით მოსალოდნელ არჩევასთან და საქართველოს რიგით მე-4 პრეზიდენტის საქმიანობის შეფასებასთან.

ცნობისთვის: „ახალგაზრდა ადვოკატები“ წინასაარჩევნოდ მოსახლეობის განწყობების დადგენას 2013 წლიდან ახორციელებს. 2013 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა გამოკითხვის შედეგები: „საპრეზიდენტო კანდიდატებისა და საპრეზიდენტო არჩევნების ნდობის რეიტინგი“, 2014 წლის ივნისში გამოქვყენდა გამოკითხვის შედეგები: „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ნდობის რეიტინგი“, 2016 წლის აპრილში გამოქვეყნდა გამოკითხვის შედეგები: „პოლიტიკოსების და პოლიტიკური პარტიების ნდობის რეიტინგი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ“. უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის ყველა კვლევის მონაცემი უმნიშვნელო ცდომილებით დაემთხვა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დასახელებულ არჩევნებზე მიღებულ ოფიციალურ შედეგებს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ კონსტიტუციური სარჩელი თანასწორობისთვის

ორგანიზაცია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით იურიდიული პირებისა და დაწესებულებების მხრიდან ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსლით უკანონო სარგებლობის შემთხვევებში, 15000 ათასი ლარით დაჯარიმების რეგულაციის გაუქმებას ითხოვს და აღნიშნავს, რომ კოდექსით დადგენილი ჯარიმის ოდენობა, იმავე შემთხვევაში ფიზიკური პირის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებულ 100-ლარიან ჯარიმას, გონივრული ფარგლებით აღემატება და კონფლიქტში მოდის მოქმედი კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებულ თანასწორუფლებიანობის პრინციპთან.

ორგანიზაციამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, 2018 წლის აგვისტოში წარადგინა საკონსტიტუციო სარჩელი, სადაც აღნიშნულია, რომ ჯარიმის განმარტების დროს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითებს შემდეგს: სამართალგამოყენების ეტაპზე, ჯარიმის შეფარდება უნდა მოხდეს სამართალდარღვევის სიმძიმისა და დარღვევის ხარისხიდან გამომდინარე. ჯარიმა წარმოადგენს სანქციის სახეს, რომლის მიზანიც შეიძლება იყოს სპეციალური, ანუ სამართლდამრღვევი პირის მიერ ქმედების ხელმეორედ ჩადენის პრევენცია. ასევე, საერთო, სხვა პირების მიმართ პრევენციაც, თუმცა მისი ოდენობა არ უნდა იყოს იმდენად არაგონივრული, რომ ირიბად მისი მიზანი ხდებოდეს იურიდიული პირის სამომავლოდ შესაძლო ფუნქციონირების შეწყვეტაც, რადგანაც საქართველოში არსებული სამოქალაქო ბრუნვიდან გამომდინარე, 15 000 ლარის გადახდის დავალდებულება, ძალიან ბევრი იურიდიული პირისთვის, შესაძლოა, წარმოადგენდეს მისი ლიკვიდაციის ტოლფას ქმედებას.

ორგანიზაცია წარდგენილი სარჩელის ფარგლებში ასაბუთებს, რომ თეორიულად ჯარიმის ასეთი ოდენობა იურიდიული პირის მიმართ, შესაძლებელია, წინააღმდეგობაში მოდიოდეს საზოგადოდ ჯარიმის არსთან, რომლის გაგებაც კარგად არის გათვალისწინებული „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში.

ორგანიზაცია ითვალისწინებს, რომ ჯარიმა პირდაპირ კავშირშია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფასთან, თუმცა მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში, კანონის მიზანი აშკარად სხვაა.ამასთან, თანასწორუფლებიანობის საკითხის შემოწმებისას უნდა გადაიხედოს, თუ რამდენად არიან ფიზიკური და იურიდიული პირები არსებითად თანასწორ მდგომარეობაში და რამდენად ხდება მათი გაუმართლებელი დიფერენცირება. სამოქალაქო ურთიერთობებში ფიზიკური და იურიდიული პირები ნამდვილად წარმოადგენენ არსებითად თანასწორ პირებს. იმის მიუხედავად, რომ სანქცირებასთან მიმართებით ფიზიკური და იურიდიული პირების თანასწორობის საკითხი სადავოა, მათ შორის ასეთი უთანასწორობა, ორგანიზაციის პოზიციით, ნამდვილად წარმოადგენს მისი კონსტიტუციური უფლების დარღვევას. ზოგადად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა მათი ბუნებისა და უფლებრივი სტატუსიდან გამომდინარე. თუმცა, ამ ორ პირს შორის არსებული განსხვავება ყოველთვის ვერ განაპირობებს მათ არსებითად უთანასწორო პირებად მიჩნევას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი სარჩელით მოთხოვნილია დადგინდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის მე-2 *(ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცება)* და 149-ე მუხლის მე-2 ნაწილის *(სასმელი წყლის უკანონო მოხმარება და წყალარინების ქსლით უკანონო სარგებლობა)* კონსტიტუციის მე-14 მუხლთან შესაბამისობის საკითხი. კანონში აღნიშნულია, რომ იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას – 15000 ლარის ოდენობით.

სარჩელს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია განიხილავს, რომლის შემადგენლობაშია მოსამართლეები: თეიმურაზ ტუღუში (კოლეგიის თავმჯდომარე), ირინე იმერლიშვილი, მანანა კობახიძე და თამაზ ცაბუტაშვილი.

სასამართლომ „მიკროკრედიტს“ თამასუქარის სასარგებლოდ 80000 აშშ დოლარი გადახდა დააკისრა

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ჩართულობით, ს.ს. „მიკროკრედიტი“ შეუსრულებელი ვალდებულების გამო, თამასუქარ მ.ძ.-ს 80000 აშშ დოლარს და 2017 წლის 18 დეკემბრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ყოველთვიური სარგებლის სახით, 968 აშშ დოლარს გადაუხდის. აღნიშნული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომლითაც სრულად დაკმაყოფილდა მ.ძ.-ს სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება და ამასთან, კანონიერ ძალაში დარჩა კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასვისებისა და იპოთეკით დატვირთვის თაობაზე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებაც. ამასთან, დაკმაყოფილდა მხარის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე. ს.ს. „მიკროკრედიტს“ დაეკისრა სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯის გადახდაც.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2017 წლის 16 მარტს, მ. ძ.-სა და სს „მიკროკრედიტს“ შორის დაიდო პროცენტიანი მარტივი „სოლო“ – თამასუქის შეძენის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც „ინდოსანტმა'' – ს.ს. „მიკროკრედიტმა'' მიიღო თანხა 80 000 აშშ დოლარის ოდენობით და იკისრა ვალდებულება 18 თვის შემდეგ ანუ 2018 წლის 16 სექტემბერს გადაეხადა აღნიშნული თანხა. პროცენტიანი მარტივი – „მწვანე თამასუქის“ ხელშეკრულება იყო პროცენტი – წლიური 15% სარგებლის დარიცხვით, რომელიც სს „მიკროკრედიტს“ მ. ძ.-სთვის უნდა გადაეხადა ყოველთვიურად. ხელშეკრულებით მხარეთა შორის არსებობდა სპეციალური დათქმა. კერძოდ, თამასუქი იყო ბლოკირებული, რომელიც არ ექვემდებარებოდა გასხვისებას, დაბრუნებას/განაღდებას და სხვა ნებისმიერი ოპერაციის განხორციელებას. 2017 წლის 20 აპრილიდან 2017 წლის 17 ნოემბრამდე, ს.ს. „მიკროკრედიტი“ ყოველთვიურად იხდიდა საპროცენტო სარგებელს, თუმცა თამასუქის ემიტენტმა 2017 წლის დეკემბრიდან შეწყვიტა ყოველთვიური სარგებლის გაცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა და აღნიშნა, რომ ს.ს. „მიკროკრედიტს“ მ.ძ.-ს მიმართ, ვალდებულება არც 2018 წლის 17 სექტემბრიდან გაჩნდა შესრულებული, როდესაც თამასუქის ხელშეკრულება აღარ იყო ბლოკირებული, ექვემდებარებოდა გაცემას და კომპანია თანხის დაბრუნების მოთხოვნის დროს მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად. შესაბამისად, მ.ძ.-ს სააპელაციო საჩივარი სრულად დაკმაყოფილდა. კომპანიას, აგრეთვე დაეკისრა სასამართლო და სასამართლოს ხარჯების 3136 ლარის გადახდაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმე ქეთევან დუგლაძემ (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ბესარიონ ტაბაღუამ და დიანა ბერეკაშვილმა განიხილეს. მ.ძ.-ს ინტერესები ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა წარმოადგინა.

წლის თანამშრომლობა

2018 წლის 16 ნოემბერს, „ახალგაზრდა ადვოკატებსა“ და საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს შორის, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმში აღნიშნულია, რომ მხარეები გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, რათა ხელი შეუწყონ უნივერსიტეტის სამართლის სკოლის და და არამარტო ამ სკოლის სტუდენტთა სამართლებრივი კუთხით ახალი შესაძლებლობების გაჩენას და დაგეგმონ და განახორციელონ ერთობლივი პროექტები, საჯარო დისკუსიები, კონფერენციები თუ მრგვალი მაგიდები საზოგადოებისა და სამართლის სფეროს სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე.

მემორანდუმს ხელი ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელმა არჩილ კაიკაციშვილმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, მაია თორდიამ მოაწერეს. მათ სტუდენტებთან საუბრისას იმ შესაძლებლობებზე გააკეთეს აქცენტი, რომლითაც ორგანიზაცია და უნივერსიტეტი მომავალში, ერთობლივი საქმიანობით განახორციელებენ. არჩილ კაიკაციშვილმა აღნიშნა, რომ სდასუ ქართული საგანმანათლებლო სისტემისთვის უმნიშვნელოვანესი კერაა, რომელიც გამორჩევა მაღალი აკადემიური რესურსით და სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ განახორციელონ პრაქტიკული სწავლებაც. მაია თორდიას განცხადებით, უნივერსიტეტის თანამშრომლობა მესამე სექტორთან სტუდენტებს საშუალებას მისცემს ერთობლივ ღონისძიებებში აქტიურად ჩაერთონ.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სტუდენტებს ორგანიზაციის საქმიანობაზე მიაწოდეს ინფორმაცია და წარდგენილ იქნა უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტებისთვის ახალი პროექტი-ინიციატივა, რომელიც 2019 წლის იანვრიდან განხორციელდება. კერძოდ, ორგანიზაცია რეალურ სასამართლო ქეისებზე წარმოადგენს იმიტირებულ პროცესებს. პროცესის მონაწილე მხარეებად ჯგუფების რეგისტრაცია დეკემბერში მოხდება.



კიდევ ერთი მემორანდუმი, 2018 წლის 8 თებერვალს, ორგანიზაციასა და „საქართველოს ბავშთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის ასოციაციას“ შორის გაფორმდა. მემორანდუმი მიზნად ისახავს ბავშთა უფლებების დაცვის განმტკიცებას, სამიზნე ჯგუფში არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევების შესწავლასა და მათი აღმოფხვრის ხელშეწყობას, როგორც საზოგადოების ასევე კანონმდებლებისა და პასუხისმგებელი სამთავრობო უწყებების მონაწილეობით. ორგანიზაციები მემორანდუმის ფარგლებში აქცენტს აკეთებენ ჯანდაცვის პედიატრიულ დაწესებულებებში ბავშთა უფლებების დაცვაზე, ბავშვების საჭიროებების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე, მათი უფლებების ეფექტური რეალიზებისთვის ფსიქო-სოციალური პროგრამებისა და სერვისების დანერგვასა და განვითარებაზე. ორგანიზაცია „საქართველოს ბავშთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის ასოციაცია“ დაფუძნდა 2007 წელს და მისი საქმიანობის ძირითად მიზნებს წარმოადგენს პაციენტისთვის და მისი ოჯახისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მკურნალობის შესახებ მეტი ინფორმაციისა და ცოდნის მიღების უზრუნველყოფა, პედიატრიულ დაწესებულებებში ბავშვისთვის მიმზიდველი და ასაკობრივი მოთხოვნილებების შესატყვისი გარემოს შექმნა, სამედიცინო დაწესებულებებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული ახალი მომსახურების დანერგვა და სამედიცინო პერსონალის კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება.

ახალი იურიდიული ბრენდი

ჩვენ თქვენთვის



სამართალწარმოების სტატისტიკა





„ახალგაზრდა ადვოკატები“ აჯილდოვებს

„ნომინანტები და ნომინაციები - 2018“

1. *„ღია სასამართლო ინსტანცია“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო*
2. *„ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია*
3. *„საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – საქართველოს ბიზნეს-სომბუდსმენის აპარატი*
4. *„ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო*
5. *„წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე*
6. *„ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – „ორბელიანი – საქართველო“*
7. *„ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – „On Ge“*
8. *„დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – გადაცემა: „დილა ობიექტივზე“*
9. *„საზოგადოების ხმა“ – გადაცემა „დღის თემა“, ახალი ამბების ტელევიზია „პალიტრანიუსი“*

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2018“

1. *აკაკი გოგიჩაიშვილი, ტელეკომპანია „იბერია“*
2. *იმედა დარსალია, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი*
3. *ლუკა ხაჩიძე, ტელეკომპანია „პირველი“*
4. *მარიამ ქართველიშვილი, ტელეკომპანია „იმედი“*
5. *ნინო გელაშვილი, რადიო „თავისუფლება“*
6. *გიორგი აბაზაძე, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი*
7. *ანა კიკნაძე, ტელეკომპანია „ობიექტივი“*
8. *ირაკლი მანაგაძე, ახალი ამბების სააგენტო „ექსპრესნიუსი“*
9. *ნელი ვარდიაშვილი, ახალი ამბების სააგენტო „ევრონიუსი“*
10. *გვანცა ფიფია, ახალი ამბების სააგენტო „აქცენტი“*
11. *თეონა ნოზაძე, ახალი ამბების სააგენტო „პირWელი“*
12. *ნინო ექვთიმიშვილი, ახალი ამბების სააგენტო „მედიანიუსი“*
13. *თამარ შეყილაძე, მედია-ჰოლდინგი „კვირა“*

1. *„ორგანიზაციის მეგობარი“ – ტარიელ კაკაბაძე, ადვოკატი*

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, 2014 წლიდან საფუძველი ჩაუყარა ტრადიციას, როდესაც წლის საქმიანობის ღონისძიებაზე აღინიშნება პროფესიული წრისა და იმ ინსტიტუციების დამსახურებული როლი, რომლებმაც ორგანიზაციასთან თანამშრომლობის პროცესში ან საზოგადოებრივი მაღალი ნდობის პირობებში, საკუთარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები, კეთილსინდისიერად შეასრულეს. ორგანიზაცია, ტრადიციულად, წლის ბოლოს, უცვლელი დასახელების ნომინაციებს გადასცემს უწყებებს, ინსტიტუციებს, საქმიანი სფეროს წარმომადგენლებსა და ჟურნალისტური კორპუსს. წინა წლების დამსახურებული გამარჯვებულები ასე გამოიყურება:

2017 წელი

1. „ღია სასამართლო ინსტანცია“ – **მცხეთის რაიონული სასამართლო**;
2. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – **სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;**
3. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – **საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;**
4. „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – **სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;**
5. „წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – **გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“;**
6. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – **„CsoGeorgia.org “;**
7. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – **ახალი ამბების სააგენტო „მედიანიუსი“;**
8. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – **აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი,**
9. „საზოგადოების ხმა“ – **გადაცემა „რეაქცია“, ტელეკომპანია „პირველი“;**

„თავისუფალი სიტყვის დამცველი 2017“

1. **ირაკლი ჩიხლაძე,** ტელეკომპანია „იმედი“;
2. **მაია მიშელაძე,** გაზეთი „ვერსია“;
3. **ნინო მიქიაშვილი,** დამოუკიდებელი ჟურნალისტი;
4. **ბელა გელაშვილი,** ტელეკომპანია “იბერია“;
5. **გურამ როგავა,** საზოგადოებრივი მაუწყებელი
6. **სოფიო ნიაური ,** ტელე/რადიო „ობიექტივი“;
7. **ვიქტორია ქათამაძე,** სააგენტო „პირWელი“;
8. **რუსუდან ოქრუაშვილი,** „გურიანიუსი“
9. **ალეკო ჩუბინიძე,** სააგენტო „ნიუსპრესი“;
10. **ბაჩანა ჯინჭარაძე,** გაზეთი „ბანკები და ფინანსები“;
11. **იზა შაქარაშვილი, ახალი ამბების სააგენტო „კვირა“**

1. „ორგანიზაციის მეგობარი“ – გია ტაბლიაშვილი, ადვოკატი

2016 წელი

1. **„ღია სასამართლო ინსტანცია“** – ბათუმის საქალაქო სასამართლო;
2. **„ყველაზე ღია საჯარო უწყება“** – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
3. **„ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“** – სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტო;
4. **„საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“** – საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი;
5. **„წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“** – „საქართველოს რკინიგზა“;
6. **„ახალგაზრდული იდეების ქომაგი“** – „ქალთა ფონდი საქართველოში“;
7. **„ღია საზოგადოების მხარდამჭერი“** – ახალი ამბების სააგენტო „კვირა“ და „კვირას“ მედია-კლუბი;
8. **„დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“** – ტელეკომპანია „იბერია“, გადაცემა „ბიზნეს კოდი“;
9. **„საზოგადოების ხმა“** – რადიო პალიტრა, გადაცემა: „360“;

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2016“

1. **მაცაცო გახოკიძე,** ტელე/რადიო „ობიექტივი“;
2. **თამთა კაკაურიძე,** სააგენტო „გურიანიუსი“;
3. **ნათია კოპალიანი,** აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი;
4. **ჯაბა ხუბუა,** გაზეთი „ასავალ დასავალი“;
5. **მანანა ცუხიშვილი,** „მთავარი გაზეთი“;
6. **ნენე სტეფანიშვილი,** სააგენტო „რეპორტიორი“;
7. **გენო ოსიყმაშვილი,** ტელეკომპანია „GDS“;
8. **სალომე გოგოხია,** ტელეკომპანია „მაესტრო“.

1. **„ორგანიზაციის მეგობარი“ – ლია მუხაშავრია,** ევროსასამართლოს ექსპერტი, უფლებადამცველი;

ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანი.

2015 წელი

1. „ღია სასამართლო ინსტანცია“ – **თბილისის საქალაქო სასამართლო;**
2. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო**;
3. „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი;**
4. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – **საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;**
5. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – **„ეთნოსთა შორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი – ACICC”**;
6. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – **სააგენტო „პირWელი“;**
7. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – **ტელეკომპანია „მაესტრო“, გადაცემა „ბიზნეს-კონტაქტი“;**
8. „საზოგადოების ხმა“ – **რადიო „იმედი“**

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2015“

2. **ზურაბ კუკულაძე,** გაზეთი „ბანკები და ფინანსები“,
3. **ლელა გოგოლაძე,** აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი,
4. **დიანა ლიპარტელიანი,** გაზეთი „ალია“;
5. **მერაბ მეტრეველი,** დამოუკიდებელი ჟურნალისტი
6. **ლევან ჯავახიშვილი,** გაზეთი „კვირის ქრონიკა“,
7. **დარინა დავითაძე,** დამოუკიდებელი ჟურნალისტი

1. **„ორგანიზაციის მეგობარი“** – ზაზა ხატიაშვილი, უფლებადამცველი, ადვოკატი

ლია ელიავა, ეკონომიკის ექსპერტი

2014 წელი

1. „საუკეთესო სასამართლო ინსტანცია ოპერატიული საჯარო ინფორმაციისთვის“ – **თბილისის საქალაქო სასამართლო;**
2. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;**
3. „ყველაზე კომუნიკაბელური სამინისტრო“ – **საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;**
4. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – **დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი**;
5. „წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – **შპს „საქართველოს ფოსტა“**;
6. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – **ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი;**
7. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – **პრეს-კლუბი „რეპორტიორი“.**
8. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – **საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“;**
9. „საზოგადოების ხმა“ – **საზოგადოებრივი რადიო 1, რადიო პალიტრა, გადაცემა „შუადღის ამბები განო და კოტე“;**

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2016“

1 **მარიამ ზედგინიძე,** ახალი ამბების სააგენტო „კვირა“;
2. **თამარ ბატიაშვილი,** გაზეთი „ქრონიკა+“;
3. **ნათია გოგიტიძე,** გაზეთი „ქართული სიტყვა“;
4. **თამარ ლეფსვერიძე,** დამოუკიდებელი ჟურნალისტი

1. **„ორგანიზაციის მეგობარი“ – სოფიო აზარიაშვილი** (ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი 2013-2014 წლებში)

2018 წელს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ აღმასრულებელი გუნდის განახლების მიზნით, ორჯერ მოახდინა კონკურსის ჩატარება. 2018 წლის იანვარსა და სექტემბერში გამოცხადებული კონკურსის შედეგად, სამართლის, საზოგადოებისა და პოლიტიკის სფეროთი დაინტერესებულ ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ გაეძლიერებინათ ორგანიზაციის საქმიანობა. 2018 წლის ბოლოს, ორგანიზაციის აღმასრულებელი გუნდი განახლდა. „ახალგაზრდა ადვოკატები“ იყო, არის და დარჩება პროფესიული ბიოგრაფიის შექმნისთვის პასუხისმგებლიანი, ანალიტიკური აზროვნებისა და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების მქონე წარმატებული ახალგაზრდებისთვის ერთ-ერთ სასურველ სამოქალაქო ორგანიზაციად და პლათფორმად. ორგანიზაცია მადლობას უხდის გუნდს საქმიანობისთვის, რომელთა წევრებიც 2018 წლის მანძილზე შრომობდნენ საზოგადოებისთვის და ორგანიზაციის ინტერესები და ღირებულებები მიაჩნდათ პრიორიტეტად.

„ახალგაზრდა ადვოკატების“
აღმასრულებელი გუნდი – 2018

1. არჩილ კაიკაციშვილი, ხელმძღვანელი
2. ზურაბ ახობაძე, კომუნიკაციის მენეჯერი
3. ნიკა გოგბერაშვილი, იურისტი
4. ანა ფუტკარაძე, იურისტი
5. გიორგი ხაჭვანი, იურისტი
6. სოფიო მექანარიშვილი, იურისტი
7. გიორგი ლაბაძე, საერთაშორისო კომუნიკაციის იურისტი,
8. ლიკა ლემონჯავა, იურისტი
9. მარიამ ხიზანიშვილი, ფინანსური მენეჯერი
10. გიორგი ზოიძე, იურისტი/PR-მენეჯერი *(26/11/18-01/03/2016)*
11. რუსლან ალექსიძე, მთავარი იურისტი *(02/10/18-16/03/2016)*
12. მარიამ ფირცხალაიშვილი, იურისტი *(31/08/2018 – 16/03/2016)*
13. გურამ ლექვინაძე, სტაჟიორ-იურისტი *(12/09/2018 – 27/02/2018)*
14. გვანცა ღვედაშვილი, სტაჟიორ-იურისტი *(30/07/2018 – 27/02/2018)*
15. ნათია მეფარიშვილი, სტაჟიორ იურისტი *(30/07/2018 – 27/02/2018)*



ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
მისამართი: თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა #12
ელ-ფოსტა: pryoungbarristers@yahoo.com;
იურიდიული სტატუსი: არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი
ვებ–გვერდი: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი“, ორთაჭალის ფილიალი
ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წლის 9 ივლისს. ორგანიზაციის დევიზია: „ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა“. ორგანიზაცია წარმოადგენს ახალგაზრდა სპეციალისტებით დაკომპლექტებულ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციას.

ორგანიზაცია მონაწილეობს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი, სამართლებრივი, პოლიტიკური საკითხების განხილვაში, წარადგენს შეფასებებსა და განცხადებებს, შეიმუშავებს ინიციატივებს, მიმართვებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და ახორციელებს მათ ლობირებას. ამზადებს კვლევებს, დასკვნებს, პროექტებს, ანგარიშებს. ახორციელებს აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესწავლას და მონიტორინგს. უზრუნველყოფს მოქალაქეების ინტერესების დაცვას და წარმომადგენლობას ყველა დონეზე, მათ შორის საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოებთან, სასამართლო ინსტანციებში, კერძო და საერთაშორისო არბიტრაჟში. ხელს უწყობს სამოქალაქო კამპანიების ჩატარებას, სამართლისა და ადამიანის უფლებების მიმართ მოსახლეობის ინფორმირებას და ჩართულობას, დაცვის ინსტიტუტის პოპულარიზაციას. ორგანიზებას უწევს კონფერენციების, სემინარების, მრგვალი მაგიდების ჩატარებას, თანამშრომლობს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, ექსპერტებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ ჯგუფებთან და გაერთიანებებთან.

2017 წელს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ორგანიზაცია ადამიანის უფლებების დაცვისა და პროფესიული ერთგულებისთვის, სპეციალური სიგელით დააჯილდოვა.

2016-2014 წლებში, ორგანიზაცია წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრს.

2016 წელს, მიწვეულ იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უმაღლესი სკოლის შექმნის სამუშაო ჯგუფში.

2015 წლიდან მიწვეულ იქნა ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწესთან არსებულ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლიდან მიწვეულ იქნა საქართველოს მთავრობის ინიციატივით შექმნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების საკითხებზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლის აპრილში, მიწვეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად. 2015-2018 წლებში, წარმოადგენდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს წევრს. 2015 წელს დააფუძნა სამოქალაქო ორგანიზაციათა მუდმივმოქმედი ალიანსი: „ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“. 2015 წელს ჩაერთო „Peace Corps“-ის პროგრამაში, რომლის ფარგლებში, 6 თვის მანძილზე, ორგანიზაცია გაძლიერდა სტრატეგიული პროექტების მომზადების, საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციის, ადამიანური რესურსის მართვისა და ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვის საკითხებზე.

2014 წელს, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ გადაწყვეტილებით, ორგანიზაცია საქართველოში დასახელდა „2014 წლის ყველაზე აქტიურ უფლებადაცვით ორგანიზაციად“. 2014 წელს გახდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის წევრი.

2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის საქართველოს ალიანსის“ წევრს. 2012 წელს წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფის წევრს.

2012 წლიდან არის არასამთავრობოთა ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის'' თანადამფუძნებელი და წევრი.

ორგანიზაციის სამოქალაქო პოზიციისა და ჩართულობის მაგალითს წარმოადგენს 2017 წელს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ დავით ასათიანის წარდგენა და მხარდაჭერა, 2017 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად შოთა ქადაგიძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2017 წელს, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრის შესარჩევ კონკურსში ქეთევან ბექაურის წარდგენა და მხარდაჭერა, 2016 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად თემო ჭეიშვილის წარდგენა და მხარდაჭერა, 2015 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2012 წელს საქართველოს სახალხო დამცველად ლია მუხაშავრიას კანდიდატურის წარდგენა და მხარდაჭერა.

ორგანიზაცია თანამშრომლობს პროფესიულ ჯგუფებთან, საჯარო დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან. 2013 წლიდან ახორციელებს ინიციატივას: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“. განხორციელებული პროექტებიდან გამორჩეულად მნიშვნელოვანია 2017-2015 წლებში, საქართველოს მთავრობის „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, გამარჯვებული პროექტი: „სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა უფასო იურიდიული დახმარება“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა მიგრანტების წინაშე არსებული იურიდიული პრობლემების იდენტიფიცირება, შეფასება, რეაგირება და გადაჭრა. მიგრანტების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის გზებზე. 2016 წელს, ორგანიზაციას პროექტის მაღალი პასუხისმგებლობით და წარმატებით განხორციელებისთვის, გადაეცა სახელმწიფოს მადლობის სიგელი.

ორგანიზაციის პოზიცია არაერთხელ გამხდარა დისკუსიის საფუძველი მას შემდეგ, რაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პრინციპული პოზიცია დაასაბუთეს 2003-2012 წლებში, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის, სისტემური დანაშაულებისა და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების კანონშეუსაბამო მოქმედებების თაობაზე. ორგანიზაციის მკვეთრი პოზიცია დასახელებულ პერიოდში სისტემური დანაშაულის საქმეებზე, ცალკეული ჯგუფების მხრიდან აღქმულია, როგორც მიკერძოებული დამოკიდებულება. შესაბამისად, ორგანიზაციის ბიოგრაფიის ნაწილია ცალკეული სასამართლო დავებიც, რომლიც მიზნად „ახალგაზრდა ადვოკატების“ საქმიანი რეპუტაციის დაცვას და ცილისწამებით მიყენებული ზიანის აღდგენას გულისხმობს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოქმედებს წესდების, შინაგანაწესისა და შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე. გააჩნია საქმიანობის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი, რომელიც ამჟამად განახლებულია 2018-2020 წლების საქმიანობისთვის. ამასთან, 2015 წლის იანვრიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გადავიდა კაბინეტურ მმართველობაზე. ახალი წესდებით, შეიცვალა მმართველობითი რგოლი. ორგანიზაციას, სადამფუძნებლო საბჭოს ერთპიროვნული მმართველობის ნაცვლად, ხელმძღვანელობს არჩეული ხელმძღვანელი, რომელიც აკომპლექტებს კაბინეტს (გუნდს), რომელიც ანგარიშვალდებულია სადამფუძნებლო საბჭოს და ყველა სხვა მესამე პირთან მიმართებით.

ორგანიზაცია ახორციელებს უფასო იურიდიული კონსულტაციის პროგრამას. საერთო სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს იურიდიული კომპანია „კაიკაციშვილი და ადვოკატებთან“ პარტნიორობით და მეშვეობით. გამოსცემს პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალს და ამზადებს ყოველთვიური საქმიანობის მედია-დაიჯესტს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შემოსავლის წყაროა: საგრანტო პროექტები, შემოწირულობები და კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები. ასევე, იურიდიული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.